ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი სტანდარტები ლანსაროტის კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების ჭრილში

კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ანალიტიკური განყოფილების
კვლევისა და ანალიზის ცეტრის მიერ

ავტორი და მთავარი რედაქტორი

მარინე კვაჭაძე

სასამართლოს დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

ავტორები:

ნათია ჯუღელი

ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის
მთავარი კონსულტანტი

ელენე ღვინჯილია

ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის
კონსულტანტი

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

წინათქმა

წინამდებარე ნაშრომი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ.

გაანალიზდა ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის საკითხებზე არსებული საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის (ლანსაროტის კონვენციის) ჭრილში.

ბოლო წლებში ქვეყანაში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გააუმჯობესა ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, თუმცა მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ არსებობს კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზები, მათ შორის, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების დეფინიციები, რომლებიც დღემდე არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციითა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამასთან, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების გაუმჯობესებისა და ბავშვის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნით, ნაშრომში თავმოყრილია აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით არსებული ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები. კერძოდ, მკითხველი გაეცნობა, როგორც სავალდებულო, ისე სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებს: გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციასა და მის დამატებით ოქმებს, ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგად რეკომენდაციებს, ევროპის საბჭოს კონვენციებს: „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ", მათ განმარტებით ბარათებს, CEDAW კომიტეტისა და GREVIO-ს რეკომენდაციებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო მითითებებს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ", ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სახელმძღვანელოებს.

სამართალწარმოების პროცესის სირთულეებისგან ბავშვის უფლებების დასაცავად, პროფესიონალებისთვის შემოთავაზებულია ე.წ. checklist.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე მასალას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის.

ამასთან, ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისათვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, ფართო პროფილის იურისტებისათვის, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მარინე კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი,
სამართლის დოქტორი, პროფესორი

სარჩევი

აბრევიატურა 5

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის დანაშაულებთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გაანალიზება საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში .. 6

სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავში (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ) განხორციელებული ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები და ხარვეზები: 10

სსკ-ის 253-255[2] მუხლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და ხარვეზები 20

საქართველოს კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" 26

მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები და მეორეული ვიქტიმიზაციისგან ბავშვის დაცვა 29

დისკრიმინაციის აკრძალვა 46

აბრევიატურა

CEDAW	გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
CRC	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი
GREVIO	ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ლანსაროტის კონვენცია	ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სტამბოლის კონვენცია	ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ”

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის დანაშაულებთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გაანალიზება საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში

განსახილველი თემის მიზანია, საქართველოში ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის შეფასება/ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში: გაერო) „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენცია წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს ეროვნულ დონეზე ბავშვთა უფლებების დაცვისთვის. კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას მიმართავენ, რათა ბავშვი დაიცვან ყველა ფორმის ძალადობისგან, მათ შორის, სექსუალური ძალადობისგან, რომელიც ჩადენილია მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან[1]. დამატებით, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა (შემდგომში: ბავშვის უფლებების კომიტეტი) მიიღო უამრავი მნიშვნელოვანი ზოგადი კომენტარი და რეკომენდაცია, რომელთა წყალობით განმარტებულია სახელმწიფოთა მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები. მაგალითად, ზოგადი კომენტარი №13 აღწერს იმ ღონისძიებებს, რომლებიც გამოიყენება ბავშვების ძალადობის ყველა ფორმისგან დასაცავად. აღნიშნულმა ზოგადმა კომენტარმა გაადართოვა ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლში მითითებული მოძალადეთა წრე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბავშვზე ძალადობა შესაძლოა მომდინარეობდეს ნებისმიერი სხვა პირისგან.[2]

ამასთან, ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13, პირდაპირ განმარტავს, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობა და სექსუალური ექსპუატაცია მოიცავს შემდეგ ქმედებებს: ა) ბავშვის წაქეზება ან იძულება ჩაერთოს რაიმე უკანონო ან ფსიქოლოგიურად საზიანო სექსუალურ ქცევაში; ბ) ბავშვის გამოყენება კომერციული სექსუალური ექსპლუატაციისთვის; გ) ბავშვის გამოყენება ბავშვზე სექსუალური ძალადობის აუდიო ან ვიზუალურ სურათებში; დ) ბავშვთა მიმართ პროსტიტუცია, სექსუალური მონობა, სექსუალური ექსპლუატაცია მოგზაურობასა და

[1] გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენცია, მუხლი 19(1), იხ. https://www.matsne.gov.ge/document/view/1399901?publication=0

[2] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №13, CRC/C/GC/13, §36, იხ. https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/CRC.C.GC.13_en.pdf.

ტურიზმში, ტრეფიკინგი (ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის), ბავშვის გაყიდვა სექსუალური მიზნებისთვის და იძულებითი ქორწინება. კომიტეტი ამავე პუნქტში მიუთითებს, რომ ბევრი ბავშვი განიცდის სექსუალურ ვიქტიმიზაციას, რომელსაც არ ახლავს ფიზიკური ძალის გამოყენება ან ფიზიკური შეზღუდვა, მაგრამ ამის მიუხედავად, ფსიქოლოგიურად ინტრუზიული, ექსპლუატაციური და ტრავმული.[3]

ამასთან, ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ" კრძალავს ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას.[4] ოქმის მიზნებიდან გამომდინარე: ა) ბავშვთა ვაჭრობა არის ნებისმიერი ქმედება ან გარიგება სადაც ნებისმიერი პირი ან პირთა ჯგუფი ბავშვს გადასცემს სხვა პირს ან პირთა ჯგუფს ფულადი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურების სანაცვლოდ; ბ) ბავშვთა მიმართ პროსტიტუცია გულისხმობს - ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების სანაცვლოდ; გ) ბავშვთა პორნოგრაფია გულისხმობს ნებისმიერი საშუალებით, ბავშვის, რომელიც ასრულებს რეალურ, ან სიმულირებულ აშკარა სექსუალური ხასიათის მოქმედებას, გამოსახვას ნებისმიერი საშუალებით ან ნებისმიერი სახით, ან ბავშვის სასქესო ორგანოების ნებისმიერი ფორმით გამოსახვას ძირითადად, სექსუალური მიზნებისათვის.[5]

სახელმწიფოს მხრიდან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ბრძოლის მიზნით და განსაკუთრებით, კი ამგვარი დანაშაულებისგან არასრულწოვანთა დაცვის მიზნით აუცილებელია ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება და კომპლექსური პოლიტიკის გატარება.

აღნიშნული კი მოითხოვს, მათ შორის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკის გამკაცრებას და არსებული დასჯადი ქმედებების პასუხისმგებლობის დამძიმებას. ამასთან, საჭიროა იმგვარი სისტემის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება დანაშაულის პრევენციაზე და არა მხოლოდ დანაშაულის შემდგომ რეაგირებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეში X and Others v. Bulgaria კვლავ მიუთითა, კონვენციის მე-3 მუხლიდან[6] გამომდინარე სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებაზე: მოახდინონ საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, რათა ადეკვატურად უზრუნველყონ პირთა დაცვა მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მთლიანობის დარღვევისგან. ამასთან, სასამართლო ხაზგასმით მიუთითა, ბავშვის გაუპატიურებასთან და სექსუალური ძალადობის დანაშაულებთან მიმართებით ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დებულებების უზრუნველყოფის ვალდებულებაზე.[7]

[3] იქვე, §25.

[4] ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმი - ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, 16.03.2001, A/RES/54/253, მუხლი 1, იხ. https://treaties.un.org/doc/source/docs/A_Res_54_263-E.pdf.

[5] იქვე, მუხლი 2.

[6] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი, მუხლი 3: ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

[7] X and Others v. Bulgaria [GC], №22457/16, 02.02.2021, §179.

„სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდგომში: ლანსაროტის კონვენცია),[8] ხელშემკვრელ მხარეებს პირდაპირ მიუთითებს, რომ მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები შემდეგი სახის განზრახი ქმედებების კრიმინალიზაციის მიზნით: ა) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვისთვის; ბ) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან თუ: აღნიშნული ხორციელდება იძულების, ძალის ან მუქარის გამოყენებით; ან ძალადობა ხორციელდება ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, მათ შორის ოჯახში; ან ძალადობა ხორციელდება ბავშვის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, კერძოდ მისი გონებრივი ჩამორჩენილობის ან ფიზიკური უუნარობის ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო.[9] ამასთან, კონვენციის თანახმად, ტერმინი – „ბავშვთა პროსტიტუცია" ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური მიზნებისთვის, ფულადი გასამრჯელოს ან ნებისმიერი სხვა სახის ანაზღაურების ან კომპენსაციის გადახდის ან დაპირების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ეს ანაზღაურება, პირობა თუ კომპენსაცია ბავშვს მოხმარდება თუ მესამე პირს.[10] შესაბამისად, კონვენცია მოითხოვს კრიმინალიზებულ იქნას: ა) ბავშვის პროსტიტუციაში ჩაბმა ან ბავშვის იძულება პროსტიტუციაში მონაწილეობის მისაღებად; ბ) ბავშვის მიმართ ძალდატანების გამოყენება მისი პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით, ან სარგებლის მიღება ამგვარი საქმიანობიდან, ან ამ მიზნით ბავშვის სხვა გზით გამოყენება; გ) ბავშვთა პროსტიტუციისთვის მიმართვა.[11] რაც შეეხება ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, კონვენცია მოუწოდებს მხარეებს მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები შემდეგი სახის განზრახი ქმედებების კრიმინალიზაციის მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ისინი ჩადენილია უფლების გარეშე: ა) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის დამზადება; ბ) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის შეთავაზება ან ხელმისაწვდომად ქცევა; გ) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის დისტრიბუცია ან გადაგზავნა; დ) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის ყიდვა საკუთარი თავისთვის ან სხვა პირისთვის; ე) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის ფლობა; ვ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ბავშვთა პორნოგრაფიული მასალით სარგებლობის შესაძლებლობის შეგნებულად მოპოვება.[12]

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში: სსკ) რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, რათა კანონმდებლობა დაახლოებოდა საერთაშორისო სტანდარტებს და მათ შორის, „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციას. თუმცა კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი

[8] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, იხ. https://www.matsne.gov.ge/document/view/2684715?publication=0

[9] იქვე, მუხლი 18(1).

[10] იქვე, მუხლი 19(2).

[11] იქვე, მუხლი 19(1).

[12] იქვე, მუხლი 20(1). აღნიშნულ მუხლში განმარტებულია ტერმინი „ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა", რომელიც ნიშნავს ნებისმიერ მასალას, რომელზეც გამოსახულია სექსუალური სურვილის გამომწვევ რეალურ თუ იმიტირებულ ქმედებაში მონაწილე ბავშვი ან ბავშვის სქესობრივი ორგანოების გამოსახულება ძირითადად სექსუალური მიზნებით.

გამოწვევები, მათ შორის, საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებსაც წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი თემის მიზნისთვის, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებში იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე (გაუპატიურება); 138-ე (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება); 139-ე (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება); 140-ე (სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველის სხეულში); 141-ე (გარყვნილი ქმედება); 253-ე (პროსტიტუციაში ჩაბმა); 254-ე (პროსტიტუციის ხელშეწყობა); 255-ე (პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება); 255^1-ე (არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში); 255^2-ე (არასრულწლოვანისთვის შეხვედრის შეთავაზება სექსუალური მიზნებისთვის) მუხლები.

თუმცა, სანამ ზემოღნიშნულ დანაშაულებთან მიმართებით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა თუ არსებულ ხარვეზებს შევეხებით, უნდა აღინიშნოს, სსკ-ის მატერიალურ ნაწილში განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. კერძოდ, 71-ე მუხლში, რომელიც არეგულირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის საკითხს, ეტაპობრივად შევიდა ცვლილებები: 2020 წლის 17 მარტის №5750 კანონის საფუძველზე 71-ე მუხლის 1-ლ ნაწილს დაემატა „$გ^2$" ქვეპუნქტი, რომლითაც სსკ-ის 137-ე-141-ე მუხლებისთვის განისაზღვრა სპეციალური ხანდაზმულობის ვადა - 20 წელი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ქმედება წარმოადგენს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს. გარდა ამისა, 2020 წლის 13 ივლისის №6753 კანონით 71-ე მუხლის 5^1 ნაწილით ბავშვთა სექსუალური ექსპლუტაციისკენ მიმართული ყველა კატეგორიის დანაშაულისათვის (სსკ-ის 137-141 და 253-255, 255^1, 255^2 მუხლები) გაუქმდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნული ცვლილებები განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვნობის პერიოდში სექსუალური ექსპლოატაციისა თუ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები სხვადასხვა მიზეზით (მაგალითად, თავიანთი ასაკის და ფსიქოლოგიური სიმწიფის გათვალისწინებით, ძალადობის შიშით, მოძალადესთან ერთად ცხოვრებით, დამოუკიდებელი შემოსავლის არ ქონით და ა.შ) არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს. ხშირ შემთხვევაში შეშინებული ბავშვები დუმილს ამჯობინებენ და მათ დიდი დრო სჭირდებათ განცდილის მოსაყოლად. შესაბამისად, აღნიშნული ცვილებები ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს მისცემს დროს და შესაძლებლობას, სრულწლოვნობის პერიოდშიც მიაწოდონ სამართალდამცავ ორგანოებს ინფორმაცია მათ წინააღმდეგ ბავშვობაში განხორციელებული დანაშაულებრივი აქტების შესახებ. ამასთან, „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს მოუწოდებს, მსხვერპლთა სასარგებლოდ, გაითვალისწინონ საკმარისი ხანგრძლივობა სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ, რათა აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა. კერძოდ, 33-ე მუხლი სახელმწიფოებისგან ითხოვს საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომების გატარებას, რათა ,,სამართალწარმოების დაწყების ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდეს იმდენი ხნით, რამდენიც საკმარისია

სამართალწარმოების ეფექტიანი დაწყებისათვის მას შემდეგ, რაც მსხვერპლი გახდება სრულწლოვანი და რამდენიც ეთანადება განსახილველი დანაშაულის სიმძიმეს".

მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა სსკ-ის 63-ე მუხლშიც, რომლის 1[1]-ლი ნაწილით აიკრძალა სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა იმ მსჯავრდებულთათვის, რომლებსაც ჩადენილი აქვთ არასრულწლოვნის წინააღმდეგ სსკ-ის 137-ე-139-ე, 141-ე და 253-ე-255[2]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული, თუნდაც მხარეებს შორის გაფორმებული იყოს საპროცესო შეთანხმება.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში განხორციელებული ცვლილებებიდან ასევე აღსანიშნავია 73[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილში გაკეთებული დათქმა, რომ „მსჯავრდებულის სასჯელისგან სრულად გათავისუფლება დაუშვებელია არასრულწვანის მიმართ სსკ-ის 137-ე-139-ე, 141-ე და 253-ე-255[2]-ე მუხლებით გათვალიწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში."

სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავში (სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ) განხორციელებული ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები და ხარვეზები:

რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში განხორციელებულ ძირითად ცვლილებებს იგი შემდეგნაირად გამოიყურება: სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2017 წელს, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსის - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში განხორციელდა რიგი ცვლილებები. კერძოდ, ცვლილებები შევიდა სსკ-ის 137-ე – 141-ე მუხლების, როგორც დისპოზიციების, ისე სანქციების ნაწილში, რაც მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს 2017 წლიდან დღემდე განხორციელებული ძირითადი ცვლილებები, რომლებიც აისახა აღნიშნული მუხლების დისპოზიციებში:

სსკ-ის მუხლი	**2017 წლის ცვლილებებამდე[13] არსებული რედაქციით**	**დღეს მოქმედი რედაქციით (2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით)**
137	გაუპატიურების მუხლში ვკითხულობდით: გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.	გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით
138	მუხლს ერქვა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება და მისი დისპოზიცია	აღნიშნულ მუხლს დღეის მდგომარეობით ქვია – სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება და

[13] აღნიშნულ ცვლილებებში იგულისხმება საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №763.

	შემდგენაირად იყო ჩამოყალიბებული: მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით	მისი დისპოზიცია შემდგენაირად არის ჩამოყალიბებული: ქმედება, რომელიც არ შეიცავს სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით
139	მუხლს ერქვა – სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება: სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბოსელობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება, სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურეობრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.	დღეის მდგომარეობით მუხლს ქვია – პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება და აღნიშნული გულისხმობს: პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებას, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურეობრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.
140	მუხლს ერქვა – სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და მასში იგულისხმებოდა: სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან	ბოლო რედაქციით მუხლს ქვია – სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში. შესაბამისად, აკრძალულ ქმედებაში იგულისხმება – სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია რიგ შემთხვევებში წარმოდგენილია ცალკეული მუხლების დამამძიმებლ გარემოებებში (სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები), თუმცა ამგვარი დანაშაულები ასევე ცალკე არის კრიმინალიზებულიც (სსკ-ის 140-ე და 141-ე მუხლები).

ბოლო წლებში განხორციელებული პროგრესული ცვლილებების მიუხედავად, დღესდღეისობით, კვლავ არსებობს საკანონმდებლო ხარვეზები გარკვეულ მუხლებში. განსაკუთრებით კი ხაზი უნდა გაესვას გაუპატიურების დეფინიციას. დღეის მდგომარეობით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში **გაუპატიურებად** (სსკ-ის 137-ე მუხლი) მიიჩნევა მსხვერპლის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით. ამასთან, გაუპატიურების დეფინიცია ეფუძნება ძალადობას, ძალადობის მუქარას ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას და იგი კვლავ არ არის დამყარებული მსხვერპლის თანხმობის არარსებობაზე, მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციის ამოსავალი წერტილი სწორედ მსხვერპლის თანხმობის არარსებობა უნდა იყოს. მაგალითად, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია)[14] 36-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს ხელშემკვრელ მხარეებს, რომ მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევის შემდეგი ფორმები: ა) სხვა ადამიანის სხვეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; ბ) ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება; გ) სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები. ამავე მუხლის მიხედვით, თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პირის ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი[15] მიუთითებს, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულების შესწავლა და გაანალიზება, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლოს ეტაპზე, მოითხოვს მტკიცებულებათა შეფასებას კონტექსტის გათვალისწინებით, რათა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს, გასცა თუ არა დაზარალებულმა ნებაყოფლობითი თანხმობა სექსუალურ აქტზე. თანხმობის არსებობის შეფასების დროს უნდა მოხდეს იმის გათვალისიწნება, რომ სექსუალურ ძალადობაზე მსხვერპლები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ ვარაუდით, რომ სექსუალური ძალადობის დროს მოსალოდნელია მსხვერპლისთვის დამახასიათებელი მხოლოდ რაიმე სახის ქცევა.[16]

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით, მსხვერპლის მიერ სექსუალურ აქტზე გამოხატული თანხმობა არ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში,

---

[14] ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ", აღნიშნული კონვენციის მოთხოვნები ვრცელდება ბავშვებზეც, რადგან მე-3 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ქალებში" იგულისხმება 18 წლამდე გოგოებიც, იხ. https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

[15] სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, იხ. https://rm.coe.int/16800d383a.

[16] თ. დეკანოსიძე, ნ.ჩიხლაძე, გ.ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში", 2020, გვ.11. იხ. https://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/201209103430kalta-mimart-seksualuri-dzaladobis-danashaulebze-martlmsajulebis-gankhortsieleba-sakartveloshi

თუ არსებულმა გარემოებებმა მას წაართვა „ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის მიცემის შესაძლებლობა. მსხვერპლის დუმილი ან წინააღმდეგობის არგაწევა არ ნიშნავს მის თანხმობას. შესაბამისად, თანხმობა არ შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, ნამდვილი ან რაიმე მნიშვნელობის მატარებელი, როდესაც მისი გამოხატვა ხდება მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებში.[17]

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე M.C. v. Bulgaria დაადგინა, რომ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაში იგულისხმება „თანხმობის გარეშე განხორციელებული ნებისმიერი სექსუალური აქტის კრიმინალიზაციის და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის მოთხოვნა, მათ შორის, მსხვერპლის ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში". აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნა რისკის წინაშე აყენებს გაუპატიურების ზოგიერთი ფორმის დასჯის შესაძლებლობას და შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ადამიანის სექსუალური ავტონომიის ეფექტიან დაცვას. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.[18]

2010 წელს, CEDAW კომიტეტმა საქმეში Vertido v. Philippines პირდაპირ გასცა შემდეგი რეკომენდაცია: გადაიხედოს გაუპატიურების განმარტება კანონმდებლობაში, რათა თანხმობის არ არსებობა გახდეს ამოსავალი წერტილი; ამოღებული იქნას კანონმდებლობაში არსებული ნებისმიერი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სექსუალური ძალადობა ჩადენილი უნდა იქნას იძულების ან ძალადობის გამოყენებით და პენეტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულების ნებისმიერი მოთხოვნა და მინიმუმამდე დაიყვანოს სამართალწარმოების დროს მომჩივნის/დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის შესაძლებლობა სექსუალური ძალადობის ისეთი განმარტების შემუავებით, რომელიც: ა) ითვალისწინებს „ცალსახა და ნებაყოფლობით თანხმობას" და მტკიცებულებებს იმის თაობაზე, თუ ბრალდებულმა რა ნაბიჯები გადაგდა იმაში დასარწმუნებლად, რომ მსხვერპლი თანახმა იყო; ბ) ითვალისიწნებს გაუპატიურების ჩადენას „მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებში" და ამგვარი გარემოებების ფართო სპექტრს. ომიტეტმა დაადგინა, რომ მსხვერპლის თანხმობა არ უნდა იქნას ნაგულისხმევი იმ შემთხვევაში, თუ იგი არასასურველ სექსუალურ ქცევას ფიზიკურად არ ეწინააღმდეგება, „იმის მიუხედვად მოძალადემ გამოიყენა თუ არა ფიზიკური ძალა ან დაემუქრა თუ არა მსხვერპლს ფიზიკური ძალის გამოყენებით".[19]

ამასთან, გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტში - „ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის თაობაზე" ნათქვამია, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიცია აქცენტს არ უნდა აკეთებდეს ძალის გამოყენებაზე, რადგან გაუპატიურება,

---

[17] იქვე, გვ.12.

[18] თ. დეკანოსიძე, ნ.ჩიხლაძე, გ.ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში", 2020, გვ.12. იხ. https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/administration-of-justice-on-sexual-violence-crimes-against-women-in-georgia

[19] ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) სახელმძღვანელო - ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ, ოჯახში ძალადობა და სექსუალური ძალადობა, 2020, §26, იხ. https://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2021/03/EHRAC-Guide-to-Litigating-Cases-of-Violence-Against-Women-GEO.pdf

თავისთავად, არის ძალადობრივი აქტი. დამატებითი ძალადობის შემთხვევაში, იგი უნდა გამოიყენებოდეს, როგორც დამამძიმებელი გარემოება.[20]

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა შეიცვალოს გაუპატიურების დეფინიცია, რათა მან მოიცვას მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები, როგორც გაუპატიურების შემადგენილი ნაწილი. ასევე, გაუპატიურება თავისთავშივე უნდა მიიჩნეოდეს ძალადობრივ აქტად და დამატებითი ძალადობის შემთხვევაში, იგი მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

რაც შეეხება, სსკ-ის 138-ე მუხლს, იგი 2017 წლამდე ჰომოსექსუალური აქტის გზით ჩადენილ სექსუალურ ძალადობას ეხებოდა, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ იგი შეიცვალა და მასში არსებული ჰომოფობიური ენა ამოღებულ იქნა. დღეის მდგომარეობით კი გაუპატიურება ჩადენილი ჰეტეროსექსუალური, ჰომოსექსუალური აქტის ან სხვა სახის სექსუალური შეღწევის მეშვეობით, იგულისხმება სსკ-ის 137-ე მუხლის დეფინიციაში, რაც შეესაბამება სტამბოლის კონვენციის სტანდარტს, ხოლო სსკ-ის 138-ე მუხლი კი ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ 138-ე მუხლშიც, მსგავსად 137-ე მუხლისა ძალადობით, ძალადობის მუქარით და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით ქმედების ჩადენა კვლავ დარჩა დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ელემენტი, რაც როგორც უკვე აღინიშნა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლების შედარებისას, უნდა ითქვას ისიც, რომ 137-ე მუხლისგან განსხვავებით, 138-ე მუხლის დისპოზიცია არ განმარტავს, რა შეიძლება ჩაითვალოს სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩამონათვალი ვერ იქნება ამომწურავი პრაქტიკაში არსებული შემთხვევების მრავალფეროვნების გამო, კანონში განმარტების არარსებობა გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ეს არ უნდა იწვევდეს 138-ე მუხლის სხვა დანაშაულებთან აღრევას.[21]

ლანზაროტის კონვენცია სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით სახელმწიფოებისგან ითხოვს აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომების გატარებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ დასჯადად გამოაცხადონ ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა, რომელსაც ახორციელებს ნდობით აღჭურვილი ნაცნობი, ავტორიტეტული პირი ან ადამიანი, რომელსაც ბავშვზე გავლენის მოხდენა შეუძლია.[22] კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს სსკ-ის 137-ე, 138-ე და 141-ე მუხლებს დაემატა შემდეგი შინაარსის დამამძიმებელი გარემოება: *„დანაშაული ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით.”* აღნიშნული ცვლილება გამოწვეულ იქნა იმითაც, რომ უკვე არსებული

[20] გაეროს სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის თაობაზე, 2010, გვ.26, იხ. https://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf

[21] ბ.პატარაია, უ.ბახტაძე, ე.არეშიძე, მ.გაგიევი, გ.ხატიაშვილი, ი.ცირეკიძე, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები”, 2020, გვ.92.

[22] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ”, 25.10.2007, მუხლი 18(1).

დამამძიმებელი გარემოება – დანაშაულის ჩადენა სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, სრულად ვერ ფარავდა იმ შემთხვევებს, რაც მოიაზრება ნდობით, ავტორიტეტით ან გავლენიანი მდგომარეობით ბოროტად სარგებლობაში. თუმცა, მსგავსად 137-ე მუხლისა 138-ე მუხლშიც მივდივართ იმ პრობლემამდე, რომ თუ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, დამოუკიდებლად უნდა იძლეოდეს გაუპატიურების შემადგენლობას და მისი წინაპირობა არ უნდა იყოს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეობა.

ამასთან, აღსანიშნავია საკანონმდებლო ბაზის ლანზაროტეს კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით[23] განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც სსკ-ის 137-ე-139-ე მუხლებში დამამძიმებელ გარემოებად განისაზღვრა - დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიერ.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლს, ის ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას – პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებისთვის. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, პირის სხეულში სექსუალური შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებად მიიჩნევა ქმედება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაცშეიძლება, არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურეობრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება ერთდროულად ხელყოფს, როგორც პირის სექსობრივ ხელშეუხებლობასა და თავისუფლებას, ისე - მის პატივსა და ღირსებას.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 139-ე მუხლის დეფინიცია გაფართოვდა სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, არც აღნიშნული მუხლი მოიცავს მსხვერპლის თანხმობის არარსებობის პირობას და კონტექსტზე დაფუძნებული შეფასების მოთხოვნას, მათ შორის, მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებზე დაყრდნობით.

ამასთან, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სსკ-ის 139-ე მუხლი მოიცავს შემდეგ დანაშაულებს: 1) პენეტრაციის იძულებას, რასაც ასევე მოჰყვა პენეტრაცია; 2) სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებას, რასაც ასევე მოჰყვა სექსუალური ხასიათის აღნიშნული ქმედება; 3) პენეტრაციის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებას, რომელიც დასრულდა იძულების ეტაპზე და მას არ მოჰყოლია პენეტრაცია ან სხვა სახის სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტი. განსხვავება 139-ე და 137-ე მუხლებს, ასევე 139-ე და 138-ე მუხლებს შორის არის ის, რომ 139-ე მუხლი დანაშაულის ჩადენის მეთოდების უფრო ფართო სპექტრს ითვალისწინებს. შესაბამისად, ზემოხსენებული პირველი დანაშაული უნდა ექცეოდეს 137-ე მუხლის ქვეშ, რადგან იგი თავისი ბუნებით გაუპატიურებას წარმოადგენს, ვინაიდან მოხდა პენეტრაცია. მეორე დანაშაული კი უნდა ექცეოდეს 138-ე მუხლში,

[23] იქვე, მუხლი 28(d).

რადგან მოხდა სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტი. მაგრამ, თუ ამ ორ შემთხვევაში 139-ე მუხლის გამოყენება მოხდება, მაშინ დანაშაული მოექცევა ნაკლებად მძიმე დანაშაულებს შორის[24], რომელშიც სასჯელი არ შეესაბამებოდეს იქნება სექსუალური ძალადობის სიმძიმეს, რადგან აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ანდა ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას[25], იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.[26]

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია რიგ შემთხვევებში წარმოდგენილია ცალკეული მუხლების დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები), თუმცა ამგვარი დანაშაულები ასევე ცალკე არის კრიმინალიზებულიც. კერძოდ, არასრულწლოვნებს სპეციალურად ეხება სსკ-ის 140-ე და 141-ე მუხლები.

სსკ-ის 140-ე მუხლის თანახმად, დასჯადია სრულწლოვნის სექსულური ხასიათის შეღწევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველის სხეულში. 2017 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღნიშნული დანაშაულის განსხვავებულ დისპოზიციას გვთავაზობდა. კერძოდ, მუხლი წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი, მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. 2017 წლის 4 მაისის კანონით,[27] დეფინიციის შეცვლის მოტივად

---

[24] ფაქტობრივად, საქართველოს კანონმდებლობა გაუპატიურების ტოლფას ორი სახის სხვადასხვა დანაშაულს იძლევა. ერთი მათგანი მძიმე დანაშაულია და უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისიწნებს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში (137-ე მუხლი), და მეორე ნაკლებად მძიმე დანაშაულია და შესაბამისად, ნაკლებად მკაცრ სასჯელს ითვალისიწინებს (139-ე მუხლი). ამგვარი მიდგომა კი ესპანეთთან მიმართებით, მკაცრად გააკრიტიკა ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (GREVIO) და განაცხადა, რომ „გაუპატიურება არის გაუპატიურება" და რომ ნებისმიერი სექსუალური აქტი, რომელიც ჩადენილია ადამიანის თავისუფალი ნების გამომხატველი თანხმობის გარეშე, წარმოადგენს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას. იხ. https://www.unicef.org/georgia/media/6451/file/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf.

[25] მართალია, 2020 წელს კანონდებელმა 139-ე მუხლის სანქციები გაამკაცრა, რადგან მიიჩნია, რომ აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა ცხადყოფდა, რომ ამ დანაშაულისთვის გათვალისიწნებული სანქციები მეტ სიმკაცრეს მოითხოვდა (იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს 2020 წლის 17 მარტის კანონის №5750), თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე 139-ე მუხლით გათვალისიწნებული გაუპატიურებისთვის არ არის პროპორციული სექსუალური ძალადობის დანაშაულის არსის, ბუნების და დაზარალებულზე მისი ეფექტის გათვალისწინებით და ასეთ სასჯელს არ აქვს პრევენციული ეფექტი, იხ. https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/administration-of-justice-on-sexual-violence-crimes-against-women-in-georgia, გვ.16.

[26] თ. დეკანოსიძე, ნ.ჩიხლაძე, გ.ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში", 2020, გვ.16, იხ. https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/administration-of-justice-on-sexual-violence-crimes-against-women-in-georgia

[27] საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №763 და მისი განმარტებითი ბარათი.

მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაცია დასახელდა.

ხაზი უნდა გაესვას დანაშაულის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს – მისი ჩადენის „ნებაყოფლობითობას", რაც მიუთითებს იმაზე, რომ დაზარალებული უნდა გამოხატავდეს თანხმობას სრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე. თუმცა, ვინაიდან მოცემული დანაშაული ითვალისწინებს 16 წლის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, მათი მოწყვლადობიდან და ნაკლები ინფორმირებულობიდან გამომდინარე, საკითხავია, რამდენად აცნობიერებენ ბავშვები, განსაკუთრებით – მცირეწლოვნები, სქესობრივი აქტის მნიშვნელობასა და მისგან გამოწვეულ შედეგებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის შეფასება, რა ასაკიდან შეიძლება იქნეს მიჩნეული ბავშვი უმწეოდ, როდესაც მის მიმართ დამყარებული სქესობრივი კავშირი შეფასდება არა სსკ-ის 140-ე მუხლით, არამედ – 137-ე მუხლით, როგორც უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის გაუპატიურებად. კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული რა ასაკამდე შეიძლება ჩაითვალოს ბავშვი უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირად, როდესაც მის მიერ გამოხატული ნება სქესობრივი კავშირის დამყარებაზე არ იქნება რელევანტურად მიჩნეული, თუმცა 2020 წელს გამოქვეყნებულ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარებში ვკითხულობთ შემდეგს: სექსუალური ხასიათის ძალადობა განსხვავებულ ფსიქოლოგიურ ზიანს არ აყენებს სხვადასხვა ასაკის ბავშვებს. ამასთან, შეუძლებელია იმის წინასწარ განსაზღვრა, რა ხარისხის ფსიქოლოგიური ტრავმა შეიძლება მიაყენოს სხვადასხვა ასაკის ბავშვს სქესობრივმა ურთიერთობამ ან/და ძალადობამ. ტრავმის ხარისხი ასაკთან ერთად დამოკიდებულია ბავშვის განვითარების დინამიკაზე, სექსუალური ხასიათის ურთიერთობის ბუნებასა და საქმის სხვა გარემოებებზე. ამიტომ, ბავშვის ასაკი არ შეიძლება, იყოს ერთადერთი ინდიკატორი მისი უმწეო მდგომარეობაში ყოფნის დასადასტურებლად. ამიტომ, მიყენებული ზიანის სიმძიმე, მათ შორის, მისი მხრიდან თანხმობის გამოხატვის რელევანტურობა, შეიძლება დადგინდეს ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების გზით. ამდენად, სქესობრივი კავშირის ნებაყოფლობითობა შეიძლება, გამოირიცხოს მაშინ, როდესაც გამოყენებულია გაუპატიურებისათვის დამახასიათებელი ხერხები ან/და როდესაც დაზარალებული, მისი ასაკისა თუ განვითარების დონის შესაბამისად ვერ გამოხატავს გაცნობიერებულ და რეალურ თანხმობას სქესობრივი კავშირის დასამყარებლად.[28] ამასთან, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გაკეთებული განმარტების (უმწეობა გულისხმობს ადამიანის ისეთ მდგომარეობას, რომელსაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო არ გააჩნია დამნაშავის ქმედებაზე რეაგირებისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარი. პალატა ასევე განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოების არსებობისთვის, საჭიროა როგორც დამნაშავის სუბიექტური აღქმა მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის, ისე – დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის ობიექტურად არსებობა[29]), ფონზე რამდენადაა შესაძლებელი გარკვეული ასაკის ბავშვთან სექსუალური კავშირი, თუნდაც მისი თანხმობის შემთხვევაში, ავტომატურად, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, შეფასდეს გაუპატიურებად. აღნიშნულ საკითხთან

[28] ბ.პატარაია, უ.ბახტაძე, ე.არეშიძე, მ.გაგიევი, გ.ხატიაშვილი, ი.ცირეკიძე, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები", 2020, გვ.131.

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება, №291აპ.-14.

დაკავშირებითაც სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარებში ვკითხულობთ შემდეგ მიდგომას: საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი[30] 10-დან 18 წლამდე ბავშვებს მიიჩნევს მოზარდებად. ამიტომ, ვინაიდან კანონმდებლობამ არასრულწლოვნებს შორის გარკვეული დიფერენცირება შემოგვთავაზა, მიზანშეწონილია, რომ პრაქტიკაში სქესობრივ კავშირზე თანხმობის რელევანტურობისა და აღქმადობის ერთ-ერთ კრიტერიუმად ბავშვის ასაკი იქნას დადგენილი. თუმცა აქაც კითხვა ჩნდება - ვინაიდან, კანონმდებელი 10 წლის ზემოთ ასაკის ბავშვებს მოზარდებად მოიხსენიებს, რამდენად მიზანშეწონილია, რომ 10 წლის ასაკს მიუღწეველ ბავშვთან სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევაში, თუნდაც ფორმალურად, არსებობდეს მისი თანხმობა, დამატებით სხვა გარემოებების გამოკვლევაც გახდეს საჭირო მისი უმწეობის შესაფასებლად? მართალია, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ქვედა ზღვარს არ გვთავაზობს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, 10 წლამდე ასაკის პირთან სრულწლოვნის მიერ სქესობრივი კავშირის დამყარება, თუნდაც ეს მოხდეს დაზარალებულის თანხმობით, ავტომატურად უნდა შეფასდეს, როგორც უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის (მისი მცირეწლოვნებიდან გამომდინარე) გაუპატიურებად, რადგან პირის უმწეო მდგომარეობის ერთ-ერთი სახეა დაზარალებულის მცირეწლოვანება.[31]

ასევე უნდა ითქვას, რომ სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაცია ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან ხშირად, ამ დანაშაულის ჩადენის მოტივი ბავშვთან ქორწინებას უკავშირდება, რაც ბავშვის უფლებების დარღვევასა და გენდერული ნიშნით ძალადობაზე მიუთითებს. აღნიშნულ საკითხს შემდეგ თავებშიც შევეხებით უფრო ფართოდ.[32]

სპეციალურად არასრულწლოვნებს ეხება სსკ-ის 141-ე მუხლიც, რომლითაც დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ძალადობის გარეშე სრულწლოვნის გარყვნილი ქმედებისთვის, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ. განსახილველი დანასაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მოზარდის ზნეობრივი განვითარება. სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვის გარყვნად მიიჩნევს განზრახ იძულებას ბავშვისას, რომელსაც არ შესრულებია სექსუალური ურთიერთობისათვის კანონით დადგენილი ასაკი, უყუროს სექსუალურ ძალადობას ან სქესობრივ აქტს, თუნდაც მონაწილეობის გარეშე.[33] აღსანიშნავია, რომ ლანსაროტის კონვენციის განმარტებითი ბარათის მიხედვით კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს უტოვებს ინტერპრეტაციის საშუალებას უფრო ფართოდ განმარტონ გარყვნილი ქმედება და მიიჩნიონ რომ

[30] საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 3, იხ. https://matsne.gov.ge/document/view/4613854?publication=2

[31] ბ.პატარაია, უ.ბახტაძე, ე.არეშიძე, მ.გაგიევი, გ.ხატიაშვილი, ი.ცირეკიძე, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კომენტარები", 2020, გვ.131-132.

[32] იქვე, გვ.126.

[33] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 22.

შესაძლოა დანაშაული ჩადენილი იყოს ძალის გამოყენებით, იძულებით, დაპირებით ან სხვა მოტივით.[34]

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები[35] შეეხო სსკ-ის 141-ე მუხლს, მათ შორის, აღსანიშნავია, რომ მუხლს დაემატა ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, როგორიცაა: გარყვნილი ქმედება ჩადენილი დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან და გარყვნილი ქმედება ჩადენილი ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით.

ლანსაროტის კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს განსაზღვრონ ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ხასიათის სისხლის სამართლის სანქციები.[36] ამასთან, ევროპის კავშირის სამართლის მიხედვით, ევროპარლამენტისა და ევრპსაბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის (2011/93/EU) დირექტივა, რომელზეც დიდი გავლენა იქონია სწორედ ლანსაროტეს კონვენციის სულისკვეთებამ და მიდგომამ, მიზნად ისახვს სისხლისსამართლებრივი მინიმალური სანქციების დადგენას წევრი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებისთვის. აღნიშნული დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები სექსუალური ძალადობის უამრავი ფორმის სანქციონირების მიზნით, მათ შორის, ისეთი შემთხვევებისას, როდესაც ბავშვი სქესობრივი აქტის ან სექსუალური ძალადობის მოწმე ხდება და როდესაც ბავშვების ჩართვა ხდება სქესობრივ აქტებში. დირექტივა ადგენს მკაცრ სანქციებს იმ პირების მიერ ჩადენილი არასათანადო ქმედებისთვის, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვების ნდობით სარგებლობდნენ ან/და ასეთი ქმედება განახორციელეს ძალადობის გამოყენებით.[37]

ქართველმა კანონმდებელმაც ეტაპობრიუვად გაამკაცრა პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლში. უკანასკნელი ცვლილებებიდან გამომდინარე[38] კი გამკაცრდა სანქცია დამამძიმებელ გარემოებებში (მათ შორის, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) ჩადენილი გაუპატიურებისთვის და 137-ე მუხლის მე-4 ნაწილს სანქციის სახედ დაემატა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

პასუხისმგებლობა გამკაცრდა 14 წელს მიუღწეველი პირის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების (138-ე მუხლის მე-4 ნაწილი) ჩადენისთვის. აღსანიშნავია, რომ უკანაკნელ საკანონმდებლო ცვლილებებამდე 138-ე მუხლის მე-3 ნაწილი არასრულწლოვნის წინააღმდეგ ამგვარი ტიპის დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის

---

[34] განმარტებითი ბარათი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცის, §154, იხ. https://rm.coe.int/16800d3832

[35] საქართველოს 2020 წლის 17 მარტის კანონი №5750 და 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6753.

[36] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 27(1).

[37] თარგმანი – ლ.ლურსმანაშვილი, რედაქტორი – მ.ბობოხიძე, „ბავშვის უფლებების ევროპული სამართლის სახელმძღვანელო", 2020, გვ.89-90; ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა „ბავშვთა სექსუალურ ძალადობასა და სექსუალური ექსპლუატაციის და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", 2011 წლის 13 დეკემბრი, 2011/93/EU, იხ. https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/d20901a4-66cd-439e-b15e-faeb92811424/language-en.

[38] 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ: 2020 წლის 17 მარტის კანონი №5750 და 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6753.

სახით ითვალისიწნებდა 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ბოლო ცვლილებებით აღნიშნულ მუხლს დაემატა მე-4 ნაწილი, რომელიც დღეის მდგომარეობით არეგულირებს 14 წლამდე პირის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ჩადენას და სასჯელის სახით ითვალისწინებს 15-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, მე-3 ნაწილის ნაცვლად მე-4 ნაწილში იქნა გათვალისწინებული განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი აღნიშნული დანაშაული და შესაბამისად, 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად მსჯავრდებულს პასუხისმგებლობა დაეკისრება 15-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

სანქციების გამკაცრების კუთხით ცვლილებები განხორციელდა სსკ-ის 139-ე მუხლშიც, რომელიც ეხება პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულებას. კანონმდებელმა მიიჩნია, რომ ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სანქციები მეტ სიმკაცრეს მოითხოვდა. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის ყველა ნაწილისთვის გათვალისიწინებული სანქცია გამკაცრდა და მათ შორის, ცვლილება შეეხო მე-4 ნაწილს, რომლითაც გაიზარდა სანქციის ქვედა ზღვარი და საბოლოოდ არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ამგვარი დანაშაულის ჩადენისთვის კანონმდებელმა განსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9-დან 15 წლამდე ვადით.

რაც შეეხება სსკ-ის 140-ე მუხლში (სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში) განხორციელებულ ცვლილებებს, მე-2 ნაწილით გათვალიწინებული სანქცია გამკაცრდა და შესაბამისად, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ამგვარი ქმედება დაისჯება 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ნაცვლად 8-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთისა.

ამასთან, გარყვნილი ქმედებისთვის (მუხლი 141) გათვალისწნებული სანქციებიც გამკაცრდა და ახალი რედაქციით ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარყვნილი ქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 9 წლამდე ვადით, ხოლო ამავე დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებებში ისჯება – 8-დან 12 წლამდე.

სსკ-ის 253-255[2] მუხლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და ხარვეზები

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველომ „სექსუალური ექსპლუტაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია 2014 წელს მოახდინა, თუმცა მანამდე, 2013 წელს, როდესაც უკვე არსებობდა მზადყოფნა კონვენციის სარატიფიკაციოდ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსში რიგი ცვლილებების განხორციელება ქვეყანაში სექსუალური ძალადობისაგან და ექსპლუატაციისაგან არასრულწლოვანთა დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბების მიზნით.

ლანსაროტეს კონვენცია თანახმად:[39] დანაშაულს წარმოადგენს არასრულწლოვნის ძალადობრივი გზით პროსტიტუციაში ჩაბმა და ამგვარი საქმიანობიდან გამომდინარე სარგებლის მიღება, ასევე ბავშვის მიმართ ძალდატანების გამოყენება მისი

[39] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 19(1b) და მუხლი 21(1b).

პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ჩაბმის მიზნით ან სარგებლის მიღება ამგვარი საქმიანობიდან. სწორედ 2013 წელს კანონმდებელმა, სისხლის სამართლის კოდექსში არასრულწლოვნის სექსუალური ექპლუტაციის გზით სარგებლის მიღების კრიმინალიზაციის მიზნით ცვლილებები განახორციელა სსკ-ის 253-ე (პროსტიტუციაში ჩაბმა) და 255[1]-ე (არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში) მუხლებში, თუმცა 2018 წელს, კანონმდებელმა აღმოაჩინა აღნიშნული ცვლილებების ხარვეზიანობა და 253-ე და 255[1]-ე მუხლების დისპოზიციიდან ამოიღო სარგებლის მიღების ელემენტი, ვინაიდან იგი სსკ-ის 143[1]-ე მუხლის (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) შენიშვნის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის დუბლირებას ახდენდა. კერძოდ, 143[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს „ექსპლუატაციის მიზნით" გარკვეული ქმედების განხორციელება, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი, რომელიც ასევე ეხება ამავე კოდექსის 143[2]-ე მუხლს (არასრულწლოვანთა ვაჭრობას (ტრეფიკინგს)), „ექსპლუატაციად", სხვა ქმედებებთან ერთად, მიიჩნევს „სარგებლის მიღების მიზნით" პირის ჩაბმას პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში.[40]

ამასთან, ლანსაროტეს კონვენციის 21-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ პორნოგრაფიულ წარმოდგენებზე შეგნებულად დასწრების კრიმინალიზაციას, რომელშიც მონაწილეობენ ბავშვები. აღნიშნული ქმედების კანონმდებლობაში ასახვის მიზნით, საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ 2013 წელს, სსკ-ის 255-ე მუხლის (პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება) მე-2 ნაწილის (ძველი რედაქციით) შემადგენლობა გააფართოვა და დასჯადად მიიჩნია: წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების შეძენა, შენახვა, <u>ჩვენებაზე დასწრება,</u> შეთავაზება, გავრცელება, გადაცემა, რეკლამირება, ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა და ასეთი <u>ნაწარმოებით სარგებლობა</u>. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა ამავე მუხლის შენიშვნის პირველ ნაწილში და განისაზღვრა რომ „არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოები არის ნებისმიერი მეთოდით შექმნილი ვიზუალური ან აუდიოვიზუალური მასალა, აგრეთვე დადგმული წარმოდგენა, რომელშიც სხვადასხვა საშუალებით წარმოდგენილია არასრულწლოვნის ან არასრულწლოვნის გამოსახულების მქონე პირის მონაწილეობა ნამდვილ, სიმულირებულ ან კომპიუტერული ტექნოლოგიის მეშვეობით გენერირებულ სექსუალურ სცენებში ან ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალური ორგანოები მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. პორნოგრაფიულად არ ჩათვლება ნაწარმოები, რომელსაც აქვს სამედიცინო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან სახელოვნებო ღირებულება".

2013 წელს განხორციელებული ცვლილებების დროსვე იფიქრა კანონმდებელმა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითზე და სსკ-ის 253-ე (პროსტიტუციაში ჩაბმა) და 254-ე (ძველი რედაქციით აღნიშნული მუხლი ეხებოდა პროსტიტუციისთვის

[40] მსგავსი მიზეზით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლის მე-2 ნაწილში არსებული სიტყვები „ორგანიზებული ჯგუფის მიერ" შეიცვალა სიტყვებით „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ", ვინაიდან კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება, რაც ასევე, ახდენდა კოდექსის 143[1]-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის დუბლირებას.

ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემას) მუხლებს დაუმატა შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებდა ამ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისთვის იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც თანხვედრაში მოდიოდა ლანსაროტეს კონვენციის 26-ე მუხლთან. კერძოდ, კონვენცია ხელმშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს, შიდა სამართალში დაამკვიდრონ იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი ბავშვების მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულთათვის, რომლებიც მათი სახელით ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნით სარგებლობს ან რომელიმე მომსახურე პირის მიერ, რომელმაც მოახერხა ხელმძღვანელობის კონტროლიდან გასვლა, თუ ამ კონტროლის არარსებობის ფაქტი ამარტივებს დანაშაულის ჩადენას. პირმა, რომელიც ხელმძღვანელ თანამდებობაზეა, უნდა იმოქმედოს თავისი ერთ-ერთი უფლებამოსილების ფარგლებში (წარმომადგენლობითი უფლება, გადაწყვეტილების მიღების უფლება, კონტროლის განხორციელების უფლება).[41] კონვენცია ხაზს უსვამს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაყენება ყოველთვის აუცილებელი არ არის და შესაბამისად შესაძლებელია იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისროს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით. გარდა ამისა, იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა შესაძლოა ერთდროულად დადგეს სხვადასხვა დონეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ლანსაროტეს კონვენციის 23-ე მუხლის[42] ასახვად შეიძლება მივიჩნიოთ, 2013 წელს, გაჩენილი ახალი - 255[2]-ე მუხლი, რომელიც დანაშაულად ითვალისწინებდა: სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირისათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეხვედრის შეთავაზებას მის მიმართ სსკ-ის 140-ე მუხლის[43] ან/და 255-ე მუხლის მე-3 ნაწილით[44] გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით, როდესაც შეთავაზებას მოჰყვა ასეთი შეხვედრისკენ მიმართული ქმედებები. აღნიშნული ქმედების ჩადენისთვის მოსამართლეს შეეძლო მსჯავრდებულისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების შეზღუდვა სამ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთა 1-დან 3 წლამდე ვადით. თუმცა თავდაპირველი რედაქციისგან განსხვავებით 2017 წელს განხორციელებული

[41] სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის – ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია), გვ.52, იხ. http://www.assembly.coe.int/LifeRay/SOC/Pdf/DocsAndDecs/LanzaroteHandbook-GE.pdf

[42]მუხლი სახელმწიფოებს მოუწოდებს მოახდინონ სისხლისსამართლებრივი გზით დასჯა შემდეგი ქმედების: სრულწლოვანი პირის მიერ ბავშვისთვის, რომელსაც არ შესრულებია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკი, იმ შეხვედრის განზრახ შეთავაზება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც მიზნად ისახავს ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებას ან ბავშვის პორნორაფიის წარმოებას, იხ. https://matsne.gov.ge/document/view/2684715?publication=0

[43] ძველი რედაქციით აღნიშნულ მუხლს ერქვა – სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

[44] დაზუსტებისთვის, 2013 წელს, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში ახალი 255[2]-ე მუხლი გაჩნდა, მაშინ ამავე კოდექსის 255-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებდა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებას და გასაღებას, თუმცა დღეის მდგომარეობით მოქმედი კოდექსი ზემოაღნიშნულს ითვალისწინებს 255-ე მუხლის მე-5 ნაწილში.

საკანონმდებლო ცვლილებებით[45] სასჯელის სახედ განისაღვრა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა 1-დან სამ წლამდე ვადით. ამასთან, 2020 წელს სსკ-ის 255[2]-ე მუხლმა კვლავ განიცადა საკანონმდებლო ცვლილებები[46] რამდენიმე მიმართულებით: 1. შეიცვალა მუხლის სათაური და მას დაერქვა არასრულწლოვნისთვის შეხვედრის შეთავაზება სექსუალური მიზნებისთვის, რაც გამოწვეულ იქნა ქმედების შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებებით. კერძოდ, ქმედების შემადგენლობა დაიყო ორ ნაწილად და მუხლიც იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით ჩამოყალიბდა ორნაწილიან შემადგენლობად. პირველ ნაწილში დასჯად ქმედებად დარჩა მხოლოდ სექსუალური ხასიათის შეღწევის მიზნით, სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეხვედრის შეთავაზება, როდესაც შეთავაზებას მოჰყვება ასეთი შეხვედრის გამართვისაკენ მიმართული ქმედებები, ხოლო მეორე ნაწილში გადმოინაცვლა პორნოგრაფიული მასალის დამზადების მიზნით, სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეხვედრის შეთავაზებამ და სწორედ ამ ნაწილში დაზარალებულის ასაკად მიეთითა 16 წელს მიუღწეველი პირის ნაცვლად 18 წელს მიუღწეველი პირი; 2. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, გამკაცრდა სასჯელიც და პირველი ნაწილისთვის (140-ე მუხლთან მიმართებით) განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2-დან 6 წლამდე ვადით, ხოლო მეორე ნაწილისთვის (255-ე მუხლთან მიმართებით) – 3-დან 8 წლამდე.

რაც შეეხება ლანსაროტეს კონვენციის რატიფიკაციის შემდგომ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს აუცილებელია ავღნიშნოთ რამოდენიმე მათგანი, რომლითაც უფრო მეტად მოხდა საკანონმდებლო ბაზის კონვენციასთან ჰარმონიზაცია. კერძოდ, 2018 წლის 17 მაისის ცვლილებებამდე[47] მოქმედი კანონმდებლობით სამართალდამცავ უწყებებს არ ქონდათ სამართლებრივი საფუძველი, ემოქმედათ იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც არაძალადობრივი მეთოდებით ხელს უწყობდნენ პირების ჩაბმას პროსტიტუციაში, მათ შორის, იმ ბარების, კლუბებისა თუ სხვა დაწესებულებების წინააღმდეგ, სადაც ადგილი ქონდა არაძალადობრივი მეთოდით ადამიანთა და მათ შორის, არასრულწოვანთა ხელშეწყობას ჩართულიყვნენ პროსტიტუციაში. საკანონმდებლო ინიციატის მქონე პირები[48] აღნიშნავდნენ, რომ ზოგჯერ, კლუბის/ბარის მესაკუთრე, მენეჯერი ან მასთან დაკავშირებული სხვა პირი შესაძლოა პროსტიტუციის ხელის შემწყობი ყოფილიყო, თუმცა მის მამართ საგამოძიებო მოქმედებები ვერ იწყებოდა ვერც სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლით, რაც ითვალისიწნებდა პროსტიტუციაში ჩაბმას ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით, რადგან ამგვარი მეთოდების გამოუყენებლობის შემთხვევაში დანაშაულს ადგილი არ ქონდა, და ვერც 254-ე მუხლით, რომელიც დანაშაულად აცხადებდა მხოლოდ პროსტიტუციისათვის ადგილის

[45] საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №944.
[46] საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6753.
[47] 2018 წლის 17 მაისის კანონი №2354.
[48] საკანონმდებლო ცვლილება მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა იუსტიციის სამინისტრო და რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

გადაცემას, რადგან შესაძლოა, ასეთი ადგილები არც გამოიყენებოდეს საკუთრივ პროსტიტუციის ადგილად, მაგრამ გამოყენებულ იქნეს იმისთვის, რათა პროსტიტუციაში ჩაბმული პირი და მისი „მომსახურებით" მოსარგებლე შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმდენენ ამგვარ მომსახურებაზე.[49]

აღნიშნულის გათვალისწინებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა ე.წ. სუტენიორებისთვის, ხოლო არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმისთვის სისხლისსამართლებრივი სანქციები გამკაცრდა. კერძოდ, სსკ-ის 254-ე მუხლს დაერქვა „პროსტიტუციის ხელშეწყობა" და მის პირველ ნაწილში დანაშაულად მიჩნეულ იქნა: „პირის პროსტიტუციაზე დაყოლიება ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პირის პროსტიტუციაში მონაწილეობას". ამ მუხლის მე-2 ნაწილში კი დანაშაულად დარჩა „პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა", რაც აღნიშნულ ცვლილებებამდეც არსებობდა.

ამასთან, ვინაიდან „პროსტიტუციის ხელშეწყობა" გულისხმობს პირის პროსტიტუციაში ჩაბმას ძალდატანების გარეშე, იგი ნაწილობრივ იმეორებდა 171-ე მუხლი მე-3 ნაწილის შინაარს, რომელიც დანაშაულად მიიჩნევდა არასრულწლოვნის ჩაბმას პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე და ითვალისწინებდა შედარებით მსუბუქ სასჯელს. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე სსკ-ის ხსენებული 171-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა მე-3 ნაწილი და მოხდა 254-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებებში მისი ასახვა. ამასთან, 2020 წელს სსკ-ის 254-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოება – ქმედების ჩადენა დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მიმართ და გამკაცრდა ამ ნაწილისთვის გათვალისწინებული სასჯელი.

ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედვად, პროსტიტუციასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობა თანხვედრაში არ მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის, ლანსაროტეს კონვენციასთან. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პროსტიტუცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა, რომელიც ითვალისწინებს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე.[50] შესაბამისად, აღნიშნული კოდექსი პროსტიტუციის მუხლით პასუხისმგებლობას აკისრებს ნებისმიერ 16 წლის ასაკს მიღწეულ პირს,[51] ანუ შესაძლებელია 16 და 17 წლის არასრულწლოვანი დანაშაულის მსხვერპლი კი არ იყოს, არამედ იყოს თვით სამართალდამრღვევი, რაც არ შეესაბამება ლანსაროტეს კონვენციის მოთხოვნებს, რადგან კონვენციის თანახმად, „სექსის ყიდვა" არასრულწლოვნისგან სისხლისსამართლებრივი გზით უნდა იყოს დასჯადი.[52]

---

[49] 2018 წლის 17 მაისის კანონის №2354 განმარტებითი ბარათი.

[50] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^3-ე მუხლი.

[51] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირს.

[52] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 19(1b).

წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სსკ-ის 255-ე მუხლმა, რომლითაც იკრძალება პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება. 2020 წლის 13 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებით ფაქტიურად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა აღნიშნული მუხლი და ცვლილებები შეეხო, როგორც ქმედების შემადგენლობას, ისე დამამძიმებელ გარემოებებს და სასჯელის ზომებს. ცვლილებები მოწმობს იმაზე, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა უფლებების დაცვა და მნიშვნელოვნად მიიჩნევს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის გადახედვის აუცილებლობასა და ადეკვატური სასჯელის მქონე დანაშაულის შემადგენლობის ჩამოყალიბებას. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ 255-ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალული ქმედებების ჩამონათვალს დაემატა არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების „იმპორტი". „ექსპორტი" და „ფლობა". აღნიშნულით შესაძლებელია ითქვას, რომ შესრულდა 2019 წელს ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნაში მითითებული რეკომენდაცია, რომლითაც კომიტეტი სახელმიწფოს პირდაპირ მიუთითებდა სისხლის სამართლის კოდექსში ასახულიყო ბავშვთა პორნოგრაფიული გამოსახულების იმპორტი, ექსპორტი და ფლობა.[53] ამასთან, მომეტებული საშიშროებიდან გამომდინარე, 255-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ქმედებები აისახა მე-4 ნაწილში და იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: *„წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების შეთავაზება, იმპორტი, ექსპორტი, გავრცელება, გადაცემა, რეკლამირება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 9-დან 15 წლამდე".* გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო 255-ე მუხლის თითქმის ყველა ნაწილის სანქციას, რადგან არსებული სასჯელები არ შეესაბამებოდა ქმედების საშიშროებასა და არასრულწლოვანთა ინტერესებისთვის მიყენებული ზიანის ხარისხს. განსაკუთრებით გამკაცრდა პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულების ჩადენის არაერთგზისობის შემთხვევებში და მზრუნველობის, მეურვეობის, მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩადენილი ამგავრი დანაშაულებისთვის.[54]

2020 წლის 13 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე[55] სსკ-ის 255[1]-ე მუხლით გათვალისიწნებული დანაშაული გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნიდა, რის გამოც კანონმდებელს მოუწია დაეზუსტებინა აღნიშნული მუხლის დისპოზიცია, რომლითაც მეტად განჭვრეტადი გახდებოდა აკრძალული ქმედების ფარგლები. კერძოდ, პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში არასრულწლოვნის ჩაბმა 255[1]-ე მუხლით გათვალისიწნებულ დანაშაულად დაკვალიფიცირდება მხოლოდ მაშინ, თუ ეს არ იქნება დაკავშირებული ნამდვილ, სიმულირებულ ან კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით გენერირებულ სექსუალურ სცენებში ამ არასრუწლოვნის

[53] ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნა საქართველოსთან მიმართებით, 2019, პარ. 29, იხ. https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/OPSC/GEO/CO/1&Lang=En

[54] სასჯელის სახედ და ზომად გათვალისიწნებულ იქნა თავისუფლების აღკვეთა 15-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

[55] საქართველოს 2020 წლის 13 ივლისის კანონი №6753.

მონაწილეობასთან.[56] რაც შეეხება აღნიშნული მუხლის დამამძიმებელ გარემოებებს, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, 2018 წელს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, არაერთგზისობა, როგორც დამამძიმებელი გარემოება, დაემატა ოჯახური დანაშაულის ყველა იმ მუხლს, რომელიც მოცემული იყო სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლში და შესაბამისად აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ზოგიერთმა მუხლმა და მათ შორის, 255[1]-ე მუხლმა მოითხოვა შესაბამისი ნაწილის დამატება, რომლითაც განისაზღვრა დამამძიმებელ გარემოებად არაერთგზისობა. 2020 წელს კი 255[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილს დამამძიმებელ გარემოებებად დაემატა: 1. ქმედების ჩადენა ორი ან მეტი პირის მიმართ და 2. ქმედების ჩადენა დამნაშავის მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მიმართ.

საქართველოს კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ"

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით მნიშვნელოვანია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება, როგორც არასრულწლოვნების, ისე სრულწლოვნების მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ეფექტიან პრევენციაზე და არა მხოლოდ დანაშაულის შემდგომ რეაგირებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩამდენი პირების მუდმივი კონტროლი და მონიტორინგი. აღნიშნულ საკითხებზე მიუთითებს სექსუალური ექსპლუტაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაც და ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის განმეორებითი დანაშაულების რისკის პრევენციის მიზნით, ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას, მათ შორის, მონიტორინგისა და ზედამხედველობის სპეციფიკური მექანიზმების შექმნას.

2020 წლის 17 მარტს საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიღებულ იქნა ახალი კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ", რომლის მიზნად განისაზღვრა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავიდან აცილების ხელშეწყობა, მასთან ბრძოლა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა. აღნიშნულმა კანონმა საკანონმდებლო ბაზისა და ზოგადად სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ახალი რეალობა შექმნა. სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული კანონის მიღებით ამგვარი კატეგორიის დანაშაულების პრევენციისა და კონტროლის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

[56] აღნიშნული ცვლილებებით კანონმდებელმა გამიჯნა სსკ-ის 255-ე და 255[1]-ე მუხლების ქმედების შემადგენლობები.

აღსანიშნავია, რომ კანონის საფუძველზე (ბოლო რედაქციით[57]), სასამართლოს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება, პირს, რომლის მიმართაც დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, ჩამოართვას ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე უფლება[58]:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზელო დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებაში) საქმიანობის უფლება, არასრულწლოვანთათვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გაწევის უფლება და აღნიშნული მომსახურების გამწევ დაწესებულებაში საქმიანობის უფლება („სექსუალური ექსპლუტაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის 27-ე მუხლი მხარეებს მოუწოდებს კონვენციით გათვალისიწნებული დანაშაულების ჩამდენ პირს აუკრძალოს, დროებით ან პერმანენტულად, ისეთი პროფესიული ან ნებაყოფლობითი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს კონტაქტს ბავშვებთან და რომლის განხორციელების პროცესშიც ჩადენილ იქნა დანაშაული);

ბ) არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, მის მიმდებარე ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 მეტრის რადიუსში, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ ბიბლიოთეკაში, ბავშვთა გასართობ ცენტრში, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებაში (მათ შორის, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებაში), არასრულწლოვანთათვის ნებისმიერი სახის საგანმანათლებლო/სასწავლო/სააღმზრდელო მომსახურების გამწევ დაწესებულებაში ყოფნის უფლება;

გ) არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრების უფლება, თუ აღნიშნულმა პირმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე - 141-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანის მიმართ, ან თუ მან ჩაიდინა იმავე კოდექსის 143^1 და 143^2 მუხლებით (თუ ამ მუხლებით გათვალისიწნებული დანაშაული მოიცავს სექსუალური მომსახურების გაწევის იძულებას ან პირის პროსტიტუციაში/ პორნოგრაფიაში ჩაბმას), 144^1 მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 253-ე მუხლით, 254-ე მუხლის მე-4 ან მე-5 ნაწილით, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255^1 და 255^2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;

დ) სოციალურ მუშაკად მუშაობის უფლება;

ე) საექიმო საქმიანობის უფლება;

ვ) სახელმწიფო და ადგილობრივი თავითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება;

ზ) პასიური საარჩევნო უფლება;

[57]ბოლოს ნანახია 2021 წლის 5 მაისს, მუხლი 3, იხ. https://www.matsne.gov.ge/document/view/4792146?publication=2

[58] პირისთვის ჩამორთმეული უფლება აისახება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

თ) იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება;
ი) სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, საზოგადოებრივი სტრანსპორტით, მგზავრთა გადაყვანის უფლება;
კ) სხვა საქმიანობის უფლება, რომლის ჩამორთმევასაც, დამნაშავის პიროვნებისა და დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს.

მოსამართლის დისკრეციის მიუხედავად აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისიწნებული უფლებები სავალდებულო წესით ჩამოერთმევა მსჯავრდებულს არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის კოდექსის 137-ე-139-ე, 141-ე, 255[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და შესაბამისად, აღნიშნული გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამონაკლისს.

კანონი აგრეთვე ითვალისიწინებს მსჯავრდებულისათვის, როგორც ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის შესაძლებლობას, ისე ჩამორთმეული უფლების ვადის შემცირების საკითხს. კერძოდ, პირისთვის ჩამორთმეული უფლების ვადამდე აღდგენა ან უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირება დასაშვებია:

პირის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების შემთხვევაში	უფლების ჩამორთმევის ვადის არანაკლებ ერთი მესამედის გასვლის შემდეგ
პირის მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების შემთხვევაში	უფლების ჩამორთმევის ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ
პირის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდების შემთხვევაში	უფლების ჩამორთმევის ვადის არანაკლებ ორი მესამედის გასვლის შემდეგ

უფლების ვადამდე აღდგენის საკითხს განიხილავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც უფლებამოსილია მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით, ვადამდე აღუდგინოს პირს ჩამორთმეული უფლებები ან შეუმციროს.

აღსანიშნავია, რომ ლანსეროტის კონვენციის 37-ე მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს მოუწოდებს: კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების პრევენციის და მათთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რათა პირად მონაცემთა დაცვის შესახებ არსებული ნორმების და შიდა კანონმდებლობით გათვალისიწნებული სხვა შესაბამისი წესებისა და გარანტიების დაცვით, უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციით გათვალისიწნებული დანაშაულების ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა ვინაობასთან და გენეტიკურ პროფილთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და შენახვა. შესაბამისად, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მნიშვნელოვან

ნოვაციას წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში - სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა და უფლებაჩამორთმეულ პირთა **რეესტრის შექმნა.** კანონის საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია სამინისტროს დაუყოვნებლივ აცნობოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის პირის მსჯავრდების, აგრეთვე მისთვის შესაბამისი უფლების ჩამორთმევის შესახებ, ხოლო სამინისტრო თავისმხრივ ვალდებულია აღნიშნული პირის პერსონალური მონაცემები აღრიცხოს რეესტრში. კერძოდ, რეესტრის წარმოების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტროში დამუშავდება მსჯავრდებულის/უფლებაჩამორთმეული პირის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, მისი ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, დაქტილოსკოპიური და სხვა მაინდენტიფიცირებული მონაცემები. აღნიშნული რეესტრის ფუნქციონირებას ორი ძირითადი მიზანი გააჩნია: 1) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ეფექტიანი პრევენცია და 2) ამგვარი დანაშაულების ჩამდენ პირთა იდენტიფიცირების გამარტივება.

მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები და მეორეული ვიქტიმიზაციისგან ბავშვის დაცვა

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ თუ მსხვეპრლის ასაკი გაურკვეველია, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი ბავშვია, მაშინ ასაკის დადგენამდე მასზე უნდა გავრცელდეს ბავშვებისთვის გათვალისწინებული დაცვისა და დახმარების ზომები.[59]

რაც შეეხება ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებას, მას - ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული

[59] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 11(2).

მართლმსაჯულების შესახებ“[60] განმარტავს, როგორც: მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ბავშვის უფლებების ყველაზე მაღალი სტანდარტით დაცვას უზრუნველყოფს, წინამდებარე დოკუმენტში ასახული პრინციპების დაცვითა და ბავშვის სიმწიფისა და საქმის გარემოებების გაცნობიერების შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, ასეთი მართლმსაჯულება უნდა იყოს მისაწვდომი, ბავშვის ასაკის შესაბამისი, დროული, სათანადო, და ბავშვის უფლებებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული და მორგებული. გარდა ამისა, მართლმსაჯულების სიტემა პატივს უნდა სცემდეს ბავშვის უფლებებს, მათ შორის, სამართალწარმოებაში მონაწილეობისა და მისი გაგების უფლებას და უზრუნველყოფდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსებისა და ხელშეულებლობის პატივისცემას.[61]

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის თანახმად: მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ყველა უფლების პატივისცემას და ეფექტიან რეალიზებას ბავშვის მონაწილეობის, მისი საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების, ბავშვის ღირსების პატივისცემის, უთანასწორო მოპყრობის დაუშვებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული პროფესიონალები და რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანმიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული.[62]

ბავშვები ზრდასრულებისგან განსხვავდებიან ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების დონით, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებებით. შესაბამისად, ბავშვთან მიმართებით ნებისმიერი ქმედება, უპირველესად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს. გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ” კონვენცია მოითხოვს, რომ: ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.[63]

ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-14 ზოგადი კომენტარის თანახმად: ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია: ა) *მატერიალური უფლება* – ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად ბავშვების) უფლება მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითზე გადაწყვეტილების მისაღებად. ესაა კონვენციით დადგენილი, სახელმწიფოს არსებითი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უნდა იქნეს გამოყენებული და დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრდეს სასამართლოში; ბ) *ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი* – თუ ეროვნულ კანონში სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობის საშუალებას, გამოყენებული უნდა იქნას ის

[60] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის „სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“, 2010 წლის 17 ნოემბერს მიღებული, იხ. https://rm.coe.int/16804b2cf3

[61] იქვე. გვ.17.

[62] საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 3.

[63] გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ” კონვენცია, მუხლი 3, იხ. https://www.matsne.gov.ge/document/view/1399901?publication=0

განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც მოცემულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში; გ) *საპროცესო ნორმა* – ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. უფრო მეტიც, ბავშვთან, ბავშვთა ჯგუფთან ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ამ უფლების უპირატესად გათვალისიწნების დასაბუთებას. კერძოდ, დასაბუთებაში უნდა იქნას ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა; და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ინტერესებსა და პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.[64]

ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან მიმართებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ადგენს შემდეგს: 1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უფლების კანონმდებლობით უზრუნველყოფა; 2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას: ა) ბავშვის მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა; ბ) გათვალისიწნებული უნდა იქნას ბავშვის ყველა სხვა უფლება, მათ შორის, ღირსების, თავისუფლების და თანაბარი მოპყრობის უფლება; გ) გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური მიდგომა ყველა უწყების მიერ, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს.[65] ამასთან, სახელმძღვანელო ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია და პასუხისმგებლობა სასამართლო ორგანოებს აქვს, წევრმა სახელმწიფოებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დანერგონ მულტიდისციპლინარული მიდგომები ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების მიზნით, რომელშიც იგულისხმება შემდეგი: 1. ხელი უნდა შეეწყოს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების თანამშრომლობას ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით, რათა სრული ინფორმაცია იქნას მოძიებული ბავშვის თაობაზე და ამომწურავად იქნას შეფასებული მისი ქმედუნარიანობის, ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური და კოგნიტური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა; 2. ბავშვებზე ან ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალისთვის (ადვოკატები, ფსიქოლოგები, პოლიცია, საიმიგრაციო სამსახურების პერსონალი, სოციალური მუშაკები და მედიატორები) უნდა შემუშავდეს შეფასების საერთო ჩარჩო, რომელიც სამართალწარმოებისას ან სხვა ინტერვენციისას გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება; 3. მულტიდისციპლინარული მიდგომების დანერგვის პროცესში დაცული უნდა იქნას კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პროფესიული ეთიკის წესები.[66]

ლანსაროტის კონვენცია მოუწოდებს მხარეებს[67] უზრუნველყონ გამოძიებისა და სისხლის სამართლის პროცესის ჩატარება ბავშვის ინტერესების გათვალისიწნებით და

---

[64] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14, CRC/C/GC/14, §6.

[65] გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება – კანონმდებლობის კვლევა, 2017, გვ.14, იხ. https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Analysis%20GEO.pdf

[66] სახელმძღვანელო - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, გვ.18-19, იხ. http://phf.org.ge/uploads/publications/5c861293048a1.pdf

[67] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 30(1).

უფლებათა დაცვით. ამასთან, ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების დროს, მნიშვნელოვანია ბავშვის უსაფრთხოების უფლების გათვალისწინება, რაც ყველა სახის ძალადობისგან დაცვას, მათ შორის, სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციისაგან დაცვას გულისხმობს. დამატებით, კომიტეტი მიუთითებს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა მოიცავს ბავშვის უსაფრთხოების შეფასებას და დაცვას მოცემულ მომენტში, ასევე მომავალში შესაძლო რისკისა და ზიანის ალბათობის განსაზღვრას.[68]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეში X and Others v. Bulgaria მიუთითა შემდეგზე: სტარსბურგის სასამართლო პრაქტიკიდან ნათელია, რომ საქმეებში, სადაც ბავშვები შესაძლოა იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების შესრულება ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში, მოითხოვს ბავშვთა უფლებების ეფექტურ განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი საუკეთესო ინტერესები და ადეკვატურად უნდა იქნეს გააზრებული ბავშვის განსაკუთრებული მოწყვლადობა და შესაბამისი საჭიროებები (იხ. A and B v. Croatia, § 111, and M.M.B. v. Slovakia, § 61; ასევე M.G.C. v. Romania, §70 and §73).[69]

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების განხორციელების ზოგადი სტანდარტები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც სრუწლოვანი პირების მიმართ, ისე ბავშვებთან მიმართებით[70]:

- გამოძიება უნდა იყოს სწრაფი და ყოველმხრივი;
- სექსუალური ძალადობის დასადასტურებლად ძალადობის ნიშნების აღმოჩენა არ უნდა იყოს არსებითი და მხედველობაში უნდა მიიღებოდეს კოტექსტი და გარემომცველი გარემოებები;
- არასრულწლოვანთა და შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე პირთა განსაკუთრებული მოწყვლადობა ასევე უნდა მიიღებოდეს მხედველობაში;
- სისხლის სამართლის პროცედურები უნდა იყოს სამართლიანი და მასზე გავლენას არ უნდა ახდენდეს ცრურწმენები და სტერეოტიპები, მათ შორის, გენდერული მიკერძოება და გენდერული სტერეოტიპები;
- მსხვერპლის მიმართ მგრძნობიარე მოპყრობა მნიშვნელოვანია, რაც ასევე მოიცავს გინეკოლოგიური ექსპერტიზის მინიმუმამდე დაყვანას[71];
- მსხვერპლის დაკითხვების რაოდენობაც ასევე მინიმუმამდეა დასაყვანი;
- დაკითხვა არ უნდა იყოს ინტრუზიული და არ უნდა შეიცავდეს კითხვებს წინარე სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

---

[68] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13, CRC/C/GC/13, §73-74.

[69] X and Others v. Bulgaria [GC], №22457/16, 02.02.2021, §192.

[70] თ. დეკანოსიძე, მ.ცირამუა, ლ. ღვინჯილია, სპეციალური ანგარიში - ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება, 2021, გვ. 25, იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2021080215240452054.pdf ე.დუბანი და ი.რადაჩიჩი, „მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ მოსამართლეებისა და პროკურორების ტრენინგ სახელმძღვანელო", 2017, გვ.52-55, იხ. https://rm.coe.int/training-manual-women-access-to-justice/16808d78c5

[71] სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის მეორეული ვიქტიმიზაციის მაღალ რისკს შეიცავს.

- მსხვერპლის პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს.

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება მნიშვნელოვანია, ლანსაროტის კონვენცია მხარეებს მოუწოდებს მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რათა იმ პირმა, რომელმაც იცის ან კეთილსინდისიერად ეჭვობს, რომ ადგილი ჰქონდა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებს, ინფორმაცია ამ ფაქტების შესახებ მიაწოდოს კომპეტენტურ სამსახურებს.[72] ამასთან, უნდა ითქვას, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტი მე-13 ზოგად კომენტარში[73] მიუთითებს, რომ ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის შეტყობინების ვალდებულება, როგორც მინიმუმ, უნდა ჰქონდეთ იმ პროფესიონალებს, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ და ამ პროფესიონალებისთვის უნდა არსებობდეს დაცვის გარანტიები. დამატებით, ლანსეროტის კონვენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონფიდენციალობის დაცვის წესებმა, რომლებიც არსებობს გარკვეულ პროფესიონალებთან მიმართებით, არ უნდა შეაფერხოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის თაობაზე სათანადო ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულების შესრულება.[74]

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება - ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე, განსაზღვრავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემას, რომელიც მოიცავს:

- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;
- ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;
- ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას;
- საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/თავშესაფარში/მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაცია;
- ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

დადგენილების მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სხვადასხვა შესაბამის ორგანოებს/დაწესებულებებს შორის კოორდინირებულად მუშაობის წესს, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, უფლებამოსილი ორგანოების უფლება-მოვალეობებს, ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვასთან.

[72] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 12(2).
[73] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13, CRC/C/GC/13, §49.
[74] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 12(1).

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის საქმეებზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს დამოკიდებული მსხვერპლის საჩივარზე და არ უნდა წყდებოდეს საჩივრის უკან გატანის შემთხვევაში.[75]

სათანადო გულისხმიერების ვალდებულება (due diligence) პრინციპი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის ძალადობის ჩამდენი – სახელმწიფო, თუ ფიზიკური პირი. სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სათანადო გულისხმიერების გამოჩენა სხვა ვალდებულებებთან ერთად, ასევე მოიაზრებს მასთზე საჯარო ex officio, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას და სახელმწიფოს პროაქტიურ მიდგომას ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის, მსხვერპლის დაცვისა და დახმარების ღონისძიებების უზრუნველყოფის კუთხით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს გამოძიების ვალდებულებას საქმის საჯარო ინტერესზე დაყრდნობით, მაგალითად: საქმეში X and Y v. Netherlands დაადგინა, რომ პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებში სახელმწიფოს ეკისრება არამხოლოდ უფლებების დარღვევისგან თავის შეკავება, არამედ, პროაქტიული ვალდებულება, უზრუნველყოს ფიზიკურ პირთა უფლებების სხვა პირების მიერ დარღვევის დაცვა. საქმეში M.C. v. Bulgaria, სასამართლომ დაადგინა, რომ უფლებების დაცვის ვალდებულება, ასევე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, ჩაატაროს ოფიციალური გამოძიება და ეფექტიანად დასაჯოს გაუპატიურება. საქმეში Maslova v. Russia, სასამართლომ აღნიშნა, რომ გაუპატიურება მსხვერპლისათვის აშკარად დამამცირებელი დანაშაულია და შესაბამისად, ხაზს უსვამს პროცედურულ ვალდებულებას, რომელიც ეკისრება სახელმწიფოს ამ კონტექსტში. ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების შედეგად შესაძლებელი უნდა იქნას პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. მინიმალური სტანდარტები ეფექტიანობასთან დაკავშირებით განმარტებულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში და ითვალისწინებს მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ გამოძიება იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე, ხოლო კომპეტენტური ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს სამაგალითო მონდომებითა და სისწრაფით.[76]

ამასთან, სტამბოლის კონვენციის 55-ე მუხლი მიუთითებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის რიგ დანაშაულებზე, მათ შორის, სექსუალურ ძალადობაზე გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებასა და საჩივარზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პროაქტიური როლი და იმის უზრუნველყოფა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლს არ ეკისრებოდეს მტკიცებულებების შეგროვებისა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებული ტვირთი.[77]

[75] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 32. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო, ex officio, დევნის ვალდებულებას, კერძო ან კერძო-საჯარო დევნის ნაცვლად.

[76] შ. ჩონდრი, ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისთვის, 2018, გვ. 11, იხ. https://rm.coe.int/methodology-womens-access-to-justice-geo-pgg/16809c8285

[77] თ. დეკანოსიძე, ნ.ჩიხლაძე, გ.ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში", 2020, გვ. 24, იხ.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის საქმეებზე, გამოძიება და სისხლის სამართლის პროცესი უნდა იყოს პრიორიტეტული და საქმეები უსაფუძვლოდ არ უნდა გაჭიანურდეს.[78] იმდენად რამდენადაც მნიშვნელოვანია გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მოხდეს ეფექტურად, სახელმწიფომ საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნდა უზრუნველყოს საიდუმლო ოპერაციების ჩატარება.

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარე, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულებაა, პირველ რიგში, შექმნას დაცვის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო; მეორე რიგში – მიიღოს ოპერატიული დამცავი ზომები და მესამე რიგში ჩაატაროს ეფექტური გამოძიება. ზოგადად, ამ პოზიტიური ვალდებულებების პირველი ორი ასპექტი კლასიფიცირდება, როგორც „არსებითი", ხოლო მესამე ასპექტი შეესაბამება სახელმწიფოს პოზიტიურ „პროცედურულ" ვალდებულებას. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია შემდეგი სტანდარტი:[79]

- თუ პირი სადავო საფუძველზე დაყრდნობით აცხადებს, რომ იგი კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებების მსხვერპლია, მაშინ ეროვნულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტური ოფიციალური გამოძიება საქმესთან მიმართებით ფაქტების დასადგენად, რომელიც მიმართული იქნება დამნაშავეთა გამოსავლენად და დასასჯელად. ასეთი ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო აგენტების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში (იხ. S.Z. v. Bulgaria, §44 და B.V. v. Belgium, §56);
- იმისთვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტური, იგი უნდა იყოს საკმარისად სიღრმისეული. ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა გონივრული საშუალება, რათა მოიპოვოს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებები (იხ. S.Z. v. Bulgaria, §45). უნდა ეცადონ გამორკვეულ იქნეს თუ რა მოხდა და არ უნდა დაეყრდნონ ნაჩქარევ ან დაუსაბუთებელ დასკვნებს გამოძიების დასასრულებლად (იხ. Bouyid V. Belgium [GC], §123, და B.V. v. Belgium §60). გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის დადგენილ იქნეს ფაქტები ან პასუხისმგებელ პირთა ვინაობა, იგი საფრთხის ქვეშ აყენებს სტანდარტის დაცვის საკითხს (იხ. Bouyid V. Belgium [GC], §120 და Batu and Others v. Turkey §134).
- ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება არის არა შედეგის, არამედ საშუალებების გამოყენების ვალდებულება. არ არსებობს აბსოლუტური უფლება იმისა, რომ კონკრეტული პირის წინააღმდეგ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა ან მას დაედება მსჯავრი, როდესაც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მხრიდან დამნაშავეთა პასუხისმგებლობაში მიცემის თვალსაზრისით ადგილი არ ჰქონია უმოქმებოდას. (იხ. A, B and C v. Latvia, § 149 და M.G.C. v. Romania, § 58). სტრასბურგის სასამართლოს არ შეუძლია ჩაანაცვლოს ეროვნული ხელისუფლება საქმის ფაქტების შეფასებისას და არ შეუძლია გადაწყვიტოს

https://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/201209103430kalta-mimart-seksualuri-dzaladobis-danashaulebze-martlmsajulebis-gankhortsieleba-sakartveloshi

[78] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 30(3).

[79] X and Others v. Bulgaria [GC], №22457/16, 02.02.2021, §184-191.

სავარაუდო დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (იხ. B.V. v. Belgium, § 61 და M. and C. v. Romania, § 113). ამასთან, სტრასბურგის სასამართლოს ამოცანა არ არის ეჭვქვეშ დააყენოს გამომძიებლების მიერ ჩატარებული გამოძიება ან მათ მიერ მიღებული დასკვნები ფაქტებთან მიმართებით, თუ აშკარა არ არის, რომ გამომძიებლებმა არ გაითვალისწინეს შესაბამისი გარემოებები ან თუ მათი ქმედებები იყო თვითნებური (იხ. S.Z. v. Bulgaria, § 50 დაY *v*. Bulgaria, § 82). მთლიანი გამოძიების სწორი მიმართულებით განხორციელების აშკარა შეუსრულებლობას შეუძლია მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას საქმეზე სწორად იქნეს დადგენილი შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები ან პასუხისმგებლ პირთა ვინაობა (იხ. M.N. V. Bulgaria, §48 დაY *v*. Bulgaria, § 82);

- იმისთვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტური, ინსტიტუციები და პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მის განხორციელებაზე, დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ იმ სუბიექტებისგან, რომელთა მიმართაც ხორციელდება გამოძიება. ეს კი ნიშნავს - არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არსებობის გამორიცხვას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც (იხ. Bouyid V. Belgium [GC], §118).
- გამოძიების ჩატარების ვალდებულებაში მოიაზრება – საქმის დაუყოვნებლივ და გონივრულ ვადებში, დაჩქარებული გზით განხილვა. (სტრასბურგის სასამართლომ არსებით მოთხოვნად მიიჩნია, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს და განხორციელდეს დაუყოვნებლივ. სამართალწარმოების საბოლოო შედეგის მიუხედავად, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმი პრაქტიკაში უნდა მოქმედებდეს გონივრულ ვადაში, რომელიც საჭიროა კონკრეტული საქმეების არსებითი გარემოებების განხილვასთან მიმართებით დასკვნების სათანადო უწყებისთვის წარსადგენად (იხ. W. v. Slovenia, § 64, S.Z. v. Bulgaria, § 47; and V.C. v. Italy, § 95).
- მსხვერპლს უნდა შეეძლოს ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა გამოძიებაში (იხ. Bouyid V. Belgium [GC], §122 და B.V. v. Belgium, §59). გარდა ამისა, გამოძიება მსხვერპლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად (იხ. ეორე მუხლის კონტექსტში Giuliani and Gaggio v. Italy [GC], § 303);
- გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესაბამისი გარემოების საფუძვლიან, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს (იხ. A and B v. Croatia, § 108);
- სისხლის სამართლის საქმის ეფექტური გამოძიების მოთხოვნა, შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში მოიცავდეს საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებას ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებასთან, რაც გულისხმობს დახმარების მოძიების ან გაწევის ვალდებულებას. ამ ვალდებულების ხასიათი და ფარგლები აუცილებლად იქნება დამოკიდებული თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებებზე, მაგალითად, არის თუ არა ძირითადი მტკიცებულებები სადავო ხელშემკვრელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან იმყოფებიან თუ არა ბრალდებულები მიმალვაში (მე-2 მუხლთან მიმართებით იხ. Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey [GC], § 233). დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან რაც შეიძლება გონივრული ნაბიჯები თანამშრომლობისთვის. მათ კეთილსინდისიერად უნდა ამოწურონ მათი შესაძლებლობები მოქმედი საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად, ურთიერთდახმარებისა და სისხლის სამართლის საქმეებში თანამშრომლობის შესახებ. იმის მიუხედავად, რომ სტრასბურგის სასამართლო არ არის უფლებამოსილი კონვენციის გარდა

საერთაშორისო ხელშეკრულებების ან სხვა ვალდებულებების პატივისცემის ზედამხედველობაზე, ის როგორც წესი ამოწმებს ამ კონტექსტში გამოიყენა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ ამ ინსტრუმენტებით გათვალისწინებული შესაძლებლობები (იხ. Güzelyurtlu and Others v. Cyprus and Turkey [GC], § 235);

მსხვერპლ და მოწმე ბავშვებს, მათ შორის, მზრუნველობაზე პასუხისმგებელ პირებს და სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, მართლმსაჯულებასთან პირველივე კონტაქტისას დაუყოვნებლივ და სათანადოდ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მათი უფლებების, სამართალწარმოების პროცესის, მხარდაჭერი სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. ამასთან, ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებებში ნათქვამია, რომ აღნიშნული ინფორმაცია უნდა იყოს გენდერული და კულტურული საკითხების გათვალისწინებით, ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისთვის გასაგებ ენაზე.[80]

საქართველოს კანონმდებლობა იცობს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს,[81] რომელიც სისხლის სამართლის საქმეში, სადაც არასრუწლოვანი მოწმე ან არასრუწლოვანი დაზარალებული მონაწილეობს, პროკურორს ან გამომძიებელს შეუძლია ჩართოს. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს არასრუწლოვანი მოწმის/დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით, რაზეც უარის თქმის უფლება აქვთ თვით მოწმე/დაზარალებულ არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს.

პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი:

- პროკურორთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ არასრულწლოვან მოწმესა და არასრულწლოვან დაზარალებულს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით, კანონიერი წარმომადგენლის ან/და ადვოკატის თანდასწრებით ან მეშვეობით აწვდის საჭირო ინფორმაციას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ;
- არასრულწლოვან მოწმესა და არასრულწლოვან დაზარალებულს მათთვის გასაგები ენით განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უხსნის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივ პროცედურებს;
- გამოძიების მიმდინარეობისას ესწრება არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასა და საპროცესო მოქმედებას მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით;
- საქმის სასამართლო განხილვისას ესწრება არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის სასამართლოში დაკითხვისა და მათი მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით;
- არასრულწლოვან მოწმესა და არასრულწლოვან დაზარალებულს კანონიერი წარმომადგენლის ან/და ადვოკატის თანდასწრებით ან/და მეშვეობით აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო

[80] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010 წლის 17 ნოემბერს მიღებული, გვ. 21, იხ. https://rm.coe.int/16804b2cf3

[81] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 23(7 და 7[1])

ან/და სხვა მომსახურეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებული კოორდინატორი:

- გამომძიებელთან წინასწარი კონსულტაციის შედეგად არასრულწლოვან მოწმესა და არასრულწლოვან დაზარალებულს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით, კანონიერი წარმომადგენლის ან/და ადვოკატის თანდასწრებით ან მეშვეობით აწვდის ინფორმაციას გამომძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განხორციელებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების, აგრეთვე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ;
- არასრულწლოვან მოწმესა და არასრლწლოვან დაზარალებულს მათთვის გასაგები ენით განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უხსნს გამოძიებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებს;
- გამოძიების მიმდინარეობისას ესწრება არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასა და საპროცესო მოქმედებას მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით;
- არასრულწლოვან მოწმესა და არასრულწლოვან დაზარალებულს კანონიერი წარმომადგენლის ან/და ადვოკატის თანდასწრებით ან/და მეშვეობით აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.

უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს უფლება – ბავშვი იყოს მოსმენილი. ბავშვის უფლებათა კონვენცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ უზრუნველყონ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება უნდა მიენიჭოს მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.[82] ამასთან, ბავშვის უფლებათა კომიტეტი მე-12 ზოგად კომენტარში მიუთითებს[83], რომ კონვენციის ზემოაღნიშნული მუხლი ასაკობრივ ლიმიტებს არ აწესებს და განამტკიცებს, რომ ბავშვებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ შეხედულებები ადრეული ასაკიდან, მაშინაც კი, როდესაც არ შეუძლიათ ვერბალურად მათი გამოხატვა. ამასთან, კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბავშვს არ არის აუცილებელი ჰქონდეს ყოვლისმომცველი ცოდნა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მას ეხება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს საკმარისი უნარი შეძლოს საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულების სათანადოდ ჩამოყალიბება. კომიტეტი ხაზგასმით მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებზე და აღნიშნავს, რომ ისინი უნდა იყვნენ აღჭურვილნი იმგვარად, რომ მათ შეძლონ გამოიყენონ კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა საკუთარი შეხედულებების მარტივად გამოსახატად. სათანადო ძალისხმევა უნდა იქნეს

[82] გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენცია, მე-12(2) მუხლი.
[83] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12, CRC/C/GC/12, §21.

მიმართული უმცირესობებისკენ, ინდიგო და მიგრანტი ბავშვებისკენ, ასევე იმ ბავშვებისკენ, რომლებიც არ საუბრობენ უმრავლესობის ენაზე, რათა უზრუნველყონ მათი გამოხატვის თავისუფლება. და ბოლოს, კომიტეტმა თქვა, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის პოტენციურად ნეგატიური შედეგები, რომლებიც განპირობებული იქნება ამ უფლების (იყვნენ მოსმენილნი) რეალიზების უგულებელყოფით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მცირეწლოვან ბავშვებს ან ბავშვს, რომელიც წარმოადგენს სექსუალური ძალადობის, ძალადობის ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს.

დამატებით, ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ ყველა პროცესი, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ და ხდება მათი მოსმენა, აუცილებლად უნდა იყოს: ინფორმატიული, ნებაყოფლობითი, პატივისცემით განწყობილი, ბავშვზე მორგებული, ინკლუზიური, ბავშვის საკითხებზე გადამზადებული პროფესიონალების მიერ, უსაფრთხო, ბავშვისადმი ანგარიშვალდებული.[84]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელოში მითითებულია[85], რომ მოსამართლეებმა უნდა დაიცვან ბავშვის უფლება ისინი იყვნენ მოსმენილები ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ეხებათ, მოსმენის დროს გამოყენებული უნდა იქნეს ბაშვის აღქმის დონისა და კომუნიკაციის შესაძლებლობებთან შესაბამისი საშუალებები საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ბავშვებს უნდა ჰკითხონ, თუ რა ფორმით ურჩევნიათ ამ უფლების განხორციელება. ბავშვის მოსაზრებებს და შეხედულებას უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ამასთან, ხაზგასმულია, რომ მხოლოდ ასაკის გამო ბავშვს არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა მოუსმინონ. როდესაც ბავშვი გამოიჩენს ინიციატივას მოუსმინონ მას მასთან დაკავშირებულ საქმეზე, მოსამართლემ არ უნდა უარყოს და უნდა მოუსმინოს მის მოსაზრებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-8 მუხლი (ბავშვის უფლება აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე) ადგენს შემდეგს: 1) ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმეუფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. 2) ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაზლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით. 3) დაუშვებელია აღნიშნული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა. 4) ბავშვთან გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული, ბავშვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამომხატველი, ბავშვისთვის მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო, ბავშვის

[84] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12, CRC/C/GC/12, §132-314.

[85] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010 წლის 17 ნოემბერს მიღებული, გვ.28, იხ. https://rm.coe.int/16804b2cf3

საკითხებზე სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ წარმართული.

ასევე უმნიშვნელოვანესია, რომ მართლმსაჯულების პროცესებმა ბავშვს არ გაუმწვავოს მიყენებული ტრავმა,[86] მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე სექსუალურ ძალადობასა და სექსუალურ ექსპლუატაციას ეხება, რადგან ბავშვმა შესაძლოა განიცადოს დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის მძიმე, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ემოციური შედეგები. ლანსეროტის კონვენცია მოუწოდებს მხარეებს შეიმუშაონ მსხვერპლთა მიმართ დაცვითი მიდგომა და უზრუნველყონ, რომ გამოძიებამ და სისხლის სამართლის პროცესმა არ გამოიწვიოს ბავშვის მიმართ მიყენებული ტრავმის გამწვავება.[87] აუცილებელია გამომძიებლებმა და პროკურორებმა გაითვალისწინონ, რომ ბავშვი იშვიათად აცხადებს სექსუალური ძალადობის თაობაზე ფაქტების მოხდენისთანავე და გამოძიება შესაბამისად უნდა იქნეს დაგეგმილი.[88] საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ბავშვის გამოკითხვა და ექსპერტიზა, უნდა ჩატარდეს საამისოდ სათანადოდ მომზადებული პროფესიონალების მიერ სენსიტიური და ბავშვზე მორგებული მეთოდებით, რაც ასევე მოიცავს ინტერვიუების რაოდენობის შემცირების აუცილებლობას. ამასთან, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელოში ნათქვამია, რომ ბავშვის ერთზე მეტი გამოკითხვის საჭიროების შემთხვევაში, ისინი სასურველია ჩაატაროს ერთი და იმავე პირმა, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე (გამოკითხვათა ხანგრძლივობა ადაპტირებული უნდა იყოს ბავშვის ასაკთან და კონცეტრაციის უნართან).[89] აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს ადაპტირებულ შენობაში.[90] ბავშვთან ჩატარებული ყველა გასაუბრება უნდა იწერებოდეს ვიდეოფირზე და სასამართლოზე ეს ვიდეოფირები უნდა მიიღებოდეს მტკიცებულებად.[91] სათანადო

---

[86]საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის მიზნად განისაზღვრა: მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.[86] აღნიშნული კოდექსის მიღებით განმტკიცდა საერთაშორისო სტანდარტები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. ამასთან, საქართველოს ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელშიც ასევე ნათქვამია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დანაშაულის შედეგად დაზარალებული და დანაშაულის მოწმე ბავშვების უფლებების დაცვა და მათი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, აგრეთვე დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება მართლმსაჯულების განხორციელების ყველა სტადიაზე.

[87] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 30(2).

[88] თ. დეკანოსიძე, მ. ცირამუა, ლ. ღვინჯილია, სპეციალური ანგარიში - ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება, 2021, გვ. 49, იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2021080215240452054.pdf

[89] ვროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010 წლის 17 ნოემბერს მიღებული, გვ. 31, იხ. https://rm.coe.int/16804b2cf3

[90] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 35(1b).

[91] იქვე. უხლი 35(2).

ორგანოებმა ბავშვი უნდა აღიქვან, როგორც სრულუფლებიანი მოწმე, მაგრამ ასევე უნდა მიიღონ ზომები იმისთვის, რათა ბავშვს გაუადვილდეს ჩვენების მიცემა და გაუმჯობესდეს კომუნიკაცია წინასასამართლო და სასამართლო სტადიებზე.[92]

ბავშვთან გასაუბრების დროს, მას შეიძლება თან ახლდეს თავისი კანონიერი წარმომადგენელი, ან საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ დასახელებული ზრდასრული პირი, გარდა, იმ შემთხვევისა, თუ ამ პირის წარმომადგენლობის საწინააღმდეგოდ მიღებულ იქნა დასაბუთებული გადაწყვეტილება.[93] ამასთან, ლანსეროტის კონვენცია აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მსხვერპლი ბავშვისთვის, თუ შესაძლებელია უფასოდ, ხელმისაწვდომი იყოს იურიდიული დახმარება, თუ მას გააჩნია მხარის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში.[94]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად,[95] სისხლის სამართლის საქმის წარმოების მებისმიერ ეტაპზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული უზრუნველყოფილი არიან უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს ამ არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით, თუ იგი არის გადახდისუუნარო ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX (დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ), XX (დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ) და XXII **(დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ)** თავებითა და 144[1]-144[3] (წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე.

სასამართლოში საქმის განხილვისას, მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად გათვალისწინებულ იქნას შემდეგი:

- მოსამართლის ბრძანებით მოსმენა უნდა ჩატარდეს დახურულ სხდომაზე. საჯაროობის დაუშვებლობა მნიშვნელოვანია დაზარალებული და მოწმე ბავშვის იდენტობისა და პირადი ცხოვრების დასაცავად. ლანსეროტის კონვენცია პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოებს დაიცვან სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების პირადი ცხოვრების საიდუმლოება, მათი ვინაობა, გამოსახულება, რათა ხელი შეუშალონ ნებისმიერი

[92] თ. დეკანოსიძე, მ. ცირამუა, ლ. ღვინჯილია, სპეციალური ანგარიში - ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება, 2021, გვ. 27, იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2021080215240452054.pdf

[93] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 35(1f);

[94] იქვე. მუხლი 33. ამასთან, დამატებით ავღნიშნავთ, რომ ბავშვთან მომუშავე ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზირებულნი ბავშვთა საკითხებზე და პროცესში წარმოადგენდნენ უშუალოდ ბავშვის მოსაზრებებს, ასევე, აწოდებნდენ მას ყველა საჭირო ინფორმაციასა და განმარტებას.

[95] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 15(1).

ინფორმაციის გავრცელებას, რომელმაც შეიძლება გააადვილოს მათი იდენტიფიცირება.[96]

ამასთან, მსხვერპლის ჩვენება მოსმენილ უნდა იქნეს სასამართლო დარბაზში მსხვერპლის დაუსწრებლად, კერძოდ შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.[97]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 24-ე მუხლი აწესებს არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ღონისძიებებს, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაკითხვისას, კერძოდ: იმისათვის, რომ პროცესის განმავლობაში თავიდან იქნეს აცილებული არასრუწლოვანი დაზარალებულის/მოწმის მეორეული ვიქტიმიზაცია და ამავე დროს, მაქსიმალურად ეფექტიანად მოხდეს მისი დაკითხვა, მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, არასრუწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება: ა) არასრუწლოვანი მოწმის გამოსახულების ან/და ხმის შემცველი მოწყობილობების გამოყენებით, გაუმჭვირვალე ეკრანის მიღმა ან დისტანციურად დაკითხვის შესახებ; ბ) სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრუწლოვანი მოწმის დაკითხვის და დაკითხვის ვიდეოგადაღების შესახებ; გ) სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ; დ) ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრუწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. ამ შემთხვევაში სავალდებულოა საქმის სასამართლოში განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.

- სასამართლო პროცესში მონაწილე ყველა პირს, კერძოდ მოსამართლეებს, პროკურორებს და ადვოკატებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ტრენინგი ბავშვთა უფლებების, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ,[98] სპეციფიკური ცოდნა და უნარები მათ დაეხმარებათ არასრულწლოვანთან კომუნიკაციაში, დაკითხვის პროცედურის სწორად წარმართვაში. სასამართლო პროცესში ბავშვის მონაწილეობა უნდა უზურნველყოფდეს მას ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების განცდით და არ უნდა შეიცავდეს რეტრავმატიზაციის რისკებს.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაციის საკითხს, სადაც განსაზღვრულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პორცესში სპეციალიზირებული პირები.

[96] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 31(1e).
[97] იქვე. მუხლი 36(2b).
[98] იქვე. 36(1).

მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების, პოლიციელების, ადვოკატების გარდა სპეციალიზაციის ვალდებულება ეკისრებათ: სოციალურ მუშაკს, მედიატორს, პრობაციის ოფიცერს, მოწმისა და დაზარალებულის ცოორდინატორს, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალს და შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალს. ამასთან, მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგს.[99]

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელოში ხაზგასმით მითითებულია, რომ პროცესის დაწყებამდე:[100]

- ბავშვს გასაგები ენით უნდა გააცნონ სასამართლოს ან სხვა შესაბამისი შენობის მოწყობის განლაგება, მონაწილე პირების როლი და ვინაობა;
- პროცესი უნდა წარიმართოს პერიოდული შესვენებებით.
- მოსაცდელი და ინტერვიუს ოთახები უნდა იყოს მოწყობილი ბავშვზე მორგებული გარემოს პრინციპით.

დამატებით, მაგალითისთვის შემოგთავაზებთ ე.წ. checklists, რომელიც მომზადდა პროფესიონალებისთვის - სამართალწარმოების პროცესის სირთულეებისგან ბავშვის უფლებების დასაცავად:[101]

მოსამართლეები: 1. უზრუნველყოფენ დანაშაულის მოწმე და მსხვერპლ ბავშვებს, სამართალწარმოების პროცესის ყველა ეტაპზე, თან ახლდეთ დამხმარე ადამიანი; 2. ბავშვებს, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარდგებიან განუმარტავენ მათი ჩვენების მნიშვნელობას და ამასთანავე იმას თუ რამდენად საყურადღებოა ამომწურავი და სწორი ჩვენების მიცემა; 3. მოითხოვენ სასამართლოს წინაშე წარდგენამდე ბავშვებს ეცნობოთ სამართალწარმოების პროცესის შესახებ; 4. უპირატესობას ანიჭებენ დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებს სხვა განსახილველ საქმეებთან შედარებით; 5. შესაძლებლობისამებრ, ხელს უწყობენ ბავშვის ჩვენების მოსმენას სპეციალური საბავშვო დეკორაციის მქონე ოთახიდან, ან ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით; 6. მკაცრად აკონტროლებენ დანაშაულის მოწმე და მხვერპლი ბავშვების დაკითხვის და განსაკუთრებით, ჯვარედინა დაკითხვის პროცესს, ბავშვების შევიწროვებისა და დაშინებისგან დაცვის მიზნით და უზრუნველყოფენ მათ მიმართ სათანადო სასაუბრო ენის გამოყენებას; 7. ბავშვების გამოკითხვისას უპირატესობას ანიჭებენ არაფორმალურ და მეგობრულ გარემოს. მაგალითისთვის, მოსამართლეების ოფიციალური ფორმის ჩვეულებრივი ტანსაცმლის ჩანაცვლებით; 8. ზღუდავენ ბავშვის სასამართლოში ყოფნის ხანგრძლივობას და დასმული

[99] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლები 17-21.

[100] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010 წლის 17 ნოემბერს მიღებული, გვ.29-30., იხ. https://rm.coe.int/16804b2cf3

[101] UNODC/UNICEF, Handbook for Professionals and Policymakers on Justice in matters involving child victims and witnesses of crime, 2009, p.84-85.

კითხვების რაოდენობას. აცხადებენ შესვენებას;

9. აკვირდებიან ბავშვის გარეგნულ იერსახეს, იმ მიზნით, რომ ბავშვი არ გადაიღალოს, არ შეწუხდეს ან არ განიცადოს სხვაგვარი ზედმეტი დისკომფორტი;
10. ადგენენ ბავშვების სასამართლოში გამოცხადების პროცესს მათი დროის რეჟიმის გათვალისწინების შესაბამისად (ითვალისწინებენ რა სასკოლო საათებს, გახანგრძლივებულ გაკვეთილებს და სხვა გარემოებებს). ასევე, სასამართლოს სხდომის ჩანიშვნისას პრიორიტეტს ანიჭებენ საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ ბავშვები. ზრუნველყოფენ, რომ მათი მოსმენა მოხდეს პირველ რიგში, სხდომის დაწებისთანავე;
11. შეძლებისდაგვარად ზღუდავენ ბავშებთან გასაუბრების რაოდენობას. უზრუნველყოფენ ბავშვის პირველადი ჩვენების სათანადოდ ჩაწერას და აღნიშნულის ცოცხალ ჩვენებასთან გათანაბრებული მნიშვნელობის მინიჭებას დაცვის უფლების გათვალისწინებით;
12. აუცილებლობის შემთხვევაში ბრძანებას გასცემენ: ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის თაობაზე, სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით, იმ მხრიდან, რომელიც ხელს უშლის ბრალდებულთან უშუალო მხედველობით კოტაქტს; ან ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გაყვანის შესახებ. ასეთი სახის ბრძანების გაცემის შემთხვევაში, თუკი საჭიროება მოითხოვს ბავშვმა ამოიცნოს ბრალდებული, მაშინ ეს უნდა მოხდეს ჩვენების მიცემის შემდეგ (ჯვარედინა და განმეორებითი დაკითხვის ჩათვლით). ამასთან, ბავშვი ბრალდებულის თანდასწრებით არ უნდა იმყოფებოდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ამას მოითხოვს ამოცნობის მიზანი.
13. შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფენ დახურულ სხდომაზე ბავშვის მიერ ჩვენების მიცემას;
14. კრძალავენ დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმე ბავშვების პირდაპირ ჯვარედინა დაკითხვას ბრალდებულის მიერ ადვოკატის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში ნიშნავენ ბრალდებულის წარმომადგენელს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის ჯვარედინა დაკითხვის მიზნით.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები:

1. ნიშნავენ ბავშვისთვის ერთ წარმომადგენელს, რომელიც სასურველია იყოს ბავშვის მიერ არჩეული სქესის. აღნიშნულ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური სასწავლო კურსი ბავშვებთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხების, მათ შორის ბავშვებთან კომუნიკაციისა და სხვა შესაბამისი უნარ ჩვევების შესახებ, რათა მან თანხლება გაუწიოს ბავშვს სამართალწარმოების პროცესისი მიმდინარეობისას;
2. უზურნველყოფენ ბავშვებისთვის სასამართლო გარემოს, თანამშრომლებისა და სასამართლო პროცესის გაცნობას, ისეთ საგანმანათლებლო პროცესებში ჩართულობით, როგორიცაა „საბავშვო სასამართლოები" და/ან პლაკატების ან ბუკლეტების გამოქვეყნება და გავრცელება ბავშვეისთვის გასაგებ ენაზე;
3. დაუყოვნებლივ რეაგირებენ, ბავშვებისთვის მისაღები ფორმით, ნებისმიერ ინციდენტზე, რომელშიც არის ჩართული დანაშაულის მსხვერპლი ბავშვი;
4. უზურნველყოფენ, რომ ბავშვებთან გასაუბრება მოხდეს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, სასურველია ნეიტრალურ გარემოში, მაგალითად, სკოლაში, სპეციალურად მოწყობილ ოთახში ან ბავშვთა დაცვის ცენტრებში;
5. ბავშვებთან დაკავშირებული შემთხვევების მიმართ ინტერდისციპლინარული მეთოდების ხელშეწყობით, უზრუნველყოფენ სპეციალური გადამზადების მქონე და ბავშვთა ძალადობის მულტიდისციპლინარულ ჯგუფებში ჩართული თანამშრომლებისგან შემდგარი საპოლიციო დანაყოფის შექმნას;

6. შეძლებისდაგვარად ზღუდავენ დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან გასაუბრების რაოდენობას, წერილობითი ან აუდიო, ან ვიდეო ჩანაწერების საშუალებით მიღებული თავდაპირველი ჩვენების შენახვით.

სასამართლო პროცესის შემდეგ მნიშვნელოვანია მსხვერპლ ბავშვებს გაეწიოთ, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დახმარება მათი ფსიქიკური და ფსიქო-სოციალური გამოჯანმრთელების მიზნით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის მოსაზრებები, საჭიროებები და პრობლემები.[102] სასამართლო პროცესების შემდეგ მნიშვნელოვანია ჯანდაცვის და შესაბამისი სოციალური და თერაპიული კურსების უზრუნველყოფა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. ამასთან აუცილებელია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იყვნენ მსხვერპლთან დაახლოებული პირები თერაპიული დახმარებით, კერძოდ, გადაუდებელი ფსიქოლოგიური მზრუნველობით.[103]

მაგალითად, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი მიუთითებს შემდეგზე:[104] ზოგადად, სექსუალური ძალადობა უშუალოდ არღვევს სხეულის საზღვრებს, ამიტომ მისი შედეგები სხეულის ქცევაში ჩანს. ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სხეულს განსაკუთრებულად მალავს და ნებისმიერ კონტაქტს გაურბის. ზოგი პირიქით, საკუთარი სხეულის დემონსტრირებას ღიად ცდილობს და ყველას სთავაზობს საკუთარ სხეულს, სხეულის ნორმალურ საზღვრებს კარგავს, ფიზიკური სიახლოვისა და დისტანციის სოციალურად მიღებული ნორმების ათვისება არ შეუძლია. ბავშვები და მოზარდები სექსუალურ ძალადობაზე რეაქციას სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად ავლენენ. კერძოდ,

- **ბავშვები 3 წლამდე:** შიშები, გრძნობების ქაოსი, ძილის დარღვევა, მადის დაკარგვა, უცხო ადამიანების მიმართ შიში, სექსუალური თამაშები;
- **სკოლამდელები:** შფოთვა, გრძნობების ქაოსი, ბრალეულობა, სირცხვილი, ზიზღი, უმწეობა, საკუთარი „გაფუჭებულის" განცდა. ქცევის დარღვევები – რეგრესი, აგრესია, მასტურბაცია, გაუცხოება, სექსუალური თამაშები;
- **უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები:** უფროსების მიმართ წინააღმდეგობრივი გრძნობები, ოჯახური როლების განსაზღვრის სირთულეები, შიში, სირცხვილი, ზიზღი, საკუთარი „გაფუჭებულის" შეგრძნება, სამყაროს მიმართ უნდობლობა. ქცევაში შეინიშნება განმარტოება, აგრესია, დუმილი ან მოულოდნელი ალაპარაკება, ძილის დარღვევა, „ბინძური სხეულის" შეგრძნება, სექსუალური ქცევები სხვა ბავშვებთან;
- **მოზარდები:** დეპრესიული მდგომარეობა, დანარკარგის განცდა. ქცევაში – იზოლაცია, სხვა ბავშვებით მანიპულირება სექსუალური სიამოვნების მიღების მიზნით, წინააღმდეგობრივი ქცევა;

ყველაფერი, რასაც ბავშვი მომხდართან დაკავშირებით განიცდის და გამოხატავს, მისი სულისა და სხეულის ნორმალური რეაქციაა განსაკუთრებულად მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის პასუხად.

[102] ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ", 25.10.2007, მუხლი 14(1).
[103] იქვე. 14(4).
[104] საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის დოკუმენტი პროფესიონალებისთვის, იხ. http://phf.org.ge/ka/resources/seqsualuri-dzaladoba-bavshvze/

დისკრიმინაციის აკრძალვა

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია დისკრიმინაციის დაუშვებლობა. კერძოდ, კონვენციაში პირდაპირ არის მითითებული, რომ „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი, ყველა ბავშვის წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის ,დგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლის, და კანონიერი მეურვეების ანდა რაიმე სვა გარემოებების მიხედვით."[105]

საქართველოს არასრულწლოვანთა კოდექსის თანახმად, აკრძალულია არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებული ნიშნით/ნიშნებით.[106]

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალური ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დაფარული ფორმაა. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციამ განამტკიცა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორების გამოვლენა, რამაც გამოიწვია მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაცია და მათზე დომინირება. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, უმთავრესი ძირეული მიზეზი სტრუქტურული და სისტემური უთანასწორობა, გენდერული დისკრიმინაცია და ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილებაა ქალებსა და კაცებს შორის. ქალები და გოგონები ხშირად განიცდიან ისეთი სერიოზული ფორმების ძალადობას, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროვება, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, ე.წ. „ღირსების" სახელით ჩადენილი დანაშაული და სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რაც წარმოადგენს ქალებისა და გოგონების ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას და ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში.[107]

CEDAW კომიტეტის განმარტებით, გენდერული ძალადობა დისკრიმინაციის ფორმაა, ვინაიდან იგი ჩადენილია ქალის მიმართ იმ მიზეზით, რომ იგი ქალია, ან ასეთი ძალადობა არაპროპორციულად აზიანებს ქალებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ ძალადობის ფაქტების გამოძიების დროს, სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დანაშაულში

[105] გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენცია, მუხლი 2(1).
[106] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 5.
[107] ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ", პრეამბულა, იხ. https://www.matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0

გამოკვეთოს დისკრიმინაციული მოტივი. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, სექსუალურ ძალადობაზე, როგორც ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობის ფორმაზე, რეაგირება მოახდინოს დისკრიმინაციული გამოვლენის ჭრილში და სისხლისსამართლებრივ პროცესებში გაითვალისწინოს გენდერული ხედვა.[108]

CEDAW კომიტეტი 33-ე ზოგად რეკომენდაციაში მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით, გოგოები განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან.[109]

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვები მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები არიან და მათ შორის გოგოებს განსაკუთრებული მოწყვლადობა ახასიათებთ, შესაძლოა დისკრიმინაციის მსხვერპლები გახდნენ სამართლებრივი სისტემის ნებისმიერ ეტაპზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სპეციალური სერვისებისა და დაცვის ზომების გამოყენებისას გათვალისწინებულ იქნეს გენდერი და ჩადენილი დანაშაულის, როგორიცაა სექსუალური ძალადობის სპეციფიკა.

როდესაც მოწყვლადობაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, რომელშიც საგანგებოდ არიან ჩამოთვლილნი ის ბავშვები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროებათ. კერძოდ, მიგრანტები, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, თანმხლების გარეშე მყოფები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ქუჩაში მცხოვრები და უსახლკაროები, ბოშა ბავშვები და ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებაში მცხოვრებლები.[110] ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივ პროცედურებში „ეფექტიანი და შინაარსიანი" მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც ასევე მოიცავს ბავშვების პირდაპირ მოსმენას სამართლებრივ პროცედურებში დისკრიმინაციის გარეშე.[111]

[108] მაგალითად, ბს ესპანეთის წინააღმდეგ (BS v. Spain), 47159/08, §58, თ. დეკანოსიძე, ნ.ჩიხლაძე, გ.ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში", 2020, გვ. 18, იხ. https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/administration-of-justice-on-sexual-violence-crimes-against-women-in-georgia

[109] გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №33, CEDAW/C/GC/33, §24-25.

[110] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010 წლის 17 ნოემბერს მიღებული, გვ. 19, იხ. https://rm.coe.int/16804b2cf3

[111] თ. დეკანოსიძე, მ.ცირამუა, ლ. ღვინჯილია, სპეციალური ანგარიში - ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება, გვ. 70, 2021, იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2021080215240452054.pdf